გაზეთი ბოლომდე, „ბოლომდე" ერთი

ბოლომდე

ფასი 50 თეთრი

№84 (979) 12 - 14 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 10 პირი დააკავა

გვ. 2

პოლიტიკური კარუსელი

გვ. 3

„მიუხედავად იმისა, რომ გიგა ბოკერია და გიორგი მარგველაშვილი მეგობრები არიან, არა მგონია, პოლიტიკურ ასპარეზზე ეს ჯგუფი შეიკრიბოს. პრეზიდენტთან ურთიერთობის გაღრმავებას პროდასავლური ნიშნის მქონე ალასანია უფრო შეეცდება"

„ნაციონალური მოძრაობის ორ ჯგუფად დაყოფა ნათლად ჩანს. ერთ მხარს არიან შედარებით ახალგაზრდა ლიდერები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს სარფში შეხვდნენ. სარფში მასთან შეხვედრაზე ძველი გუნდიდან მხოლოდ გოკა გაბაშვილი იმყოფებოდა; მეორე ფლანგზე კი გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილია..."

გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი აშშ-ში ჩაიშალა

კარლ ბილდტი საერთაშორისო სკანდალში გაეხვია

PR-სააგენტოს საკაშვილის ხელისუფლებამ მხოლოდ ერთ წელში 5 მილიონამდე ლარი გადაურიცხა

გვ. 4

გაზეთი „აფტონბლადეტი" Kreab-ისთვის საიდუმლო გადარიცხვებს აქვეყნებს

„მითხრეს, „კეზერასთან" გადაიკვეთე, სპირტი დაივიწყე, ძროხები მწყემსეო"

როგორ მოიშორა თავიდან დავით კეზერაშვილმა „კონკურენტი" კახელი და როგორ „შეტენეს" ბიზნესმენს ყაჩაღობის „დანაშაული"

გვ. 7

ეკონომიკა

„ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნებას, კანონიერი თუ უკანონო გზით, ვერასოდეს მოახერხებენ"

გვ. 5

ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური პროგნოზები

შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 10 პირი დააკავა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფოთში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, სენაკში, თბილისსა და გორში, ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 10 პირი: 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულის ბრალდებით მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი კ, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისა და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ნასამართლევი გელა ქ, 1985 წელს დაბადებული ლაშა ჩ, 1971 წელს დაბადებული გელა გ, 1986 წელს დაბადებული, წარსულში დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის, ქურდობისთვის, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის ნასამართლევი დავით ქ, 1986 წელს დაბადებული ვიტალი ბ, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისა და ქურდობისთვის ნასამართლევი გიორგი რ, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობის, ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი გელა ქ, 1995 წელს დაბადებული ავაზი უ. და 1979 წელს დაბადებული, წარსულში იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვისთვის და ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი თენგიზ კ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქურდულ სამყაროს აღიარებენ, სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით, ქურდული კანონების შესაბამისად, სპეციალური წესების დაცვით მოქმედებდნენ და მიზანმიმართულად ცდილობდნენ ქურდული სამყაროს ინტერესების საზოგადოებაში დანერგვასა და განმტკიცებას.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პირებისგან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ და ასრულებდნენ.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით).

საქმეზე გამოძიება გრძელდება და სხვა დამნაშავე პირების დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

„ვერსიანიუსი“

პრემიერ-მინისტრი პირველი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანშია

ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქოს საერთაშორისო აეროპორტში ოფიციალური დახვედრის ცერემონია გაიმართა. შესრულდა ორი ქვეყნის ჰიმნი. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, ასევე შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სავალან მირზოევი, პარლამენტის წევრები, ზურაბ ტყემალაძე, მახირ დარზიევი და ალი მამედოვი, ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი.

საქართველოს დელეგაციას აეროპორტში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი აბიდ შარიფოვი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აზერ ჰუსეინი დახვდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა ზაგულბას საპრეზიდენტო სასახლეში გაიმართა. შეხვედრაზე ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონული უსაფრთხოებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებს. გამოთქვეს სურვილი, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაღრმავდეს პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობა.

პირისპირ შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი პარტნიორული ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსაც შეეხნენ და აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარება პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მიმართულებით, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება.

ირაკლი ღარიბაშვილისა და ილჰამ ალიევის პირისპირ შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს დელეგაციას გაფართოებულ ფორმატში შეხვდა. მხარეებმა ის კონკრეტული პროექტები განიხილეს, რომლებსაც საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად ახორციელებენ. კერძოდ, საუბარი შეეხო ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში მიმდინარე პროექტებს, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენს.

მოგვიანებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ქართულ დელეგაციას სამუშაო სადილზე უმასპინძლა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საქართველოს დელეგაციას ზაგულბას სასახლეში ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.

„ვერსიანიუსი“

ევროპის 7 ქვეყანაში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა



პასპორტების, პირადობისა და მართვის მოწმობების გაყალბების ბრალდებით ასი პირია დაკავებული, მათ შორის სამი ქართველია, ისინი გერმანიაში აიყვანეს.

ჯგუფის წევრებს სპეცოპერაციის დროს პირადობის დამადასტურებელი ყალბი მოწმობები აღმოაჩნდათ.

გამოძიების ინფორმაციით, საბუთები, რომელსაც ჩეხეთის რესპუბლიკის ბეჭედი ჰქონდა, ძირითადად საქართველოს მოქალაქეებისთვის იყო განკუთვნილი. ამ მოწმობებით ქართველები სხვადასხვა ქვეყანაში უპრობლემოდ გადაადგილდებოდნენ და მუშაობდნენ.

სპეცოპერაცია ერთდროულად საფრანგეთში, შვედეთში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, ავსტრიასა და გერმანიაში ჩატარდა.

ინფორმაცია გერმანულ მედიას ბაიერნის კრიმინალურმა განყოფილებამ მიაწოდა.

ქართველების დაკავების შესახებ ბერლინში საქართველოს საელჩომ ადგილობრივი მედიიდან შეიტყო. ქართველი დიპლომატები ინფორმაციის გადამოწმებას გერმანელ სამართალდამცველებთან ცდილობენ.

ბაიერნის კრიმინალური განყოფილების დირექტორის, ტორსტე ვიტკეს განმარტებით: „ეს დოკუმენტები დალუქული სახით ფოსტით საშუალებით იგზავნებოდა, თანხას ყველა პირი წინასწარ იხდიდა. ერთობლივი მუშაობით შევძელით დაგვედგინა, სად მიდიოდა ეს გზავნილები. დოკუმენტები ევროპის მასშტაბით სულ 300-ზე მეტ ადგილასაა გაგზავნილი. საბუთები იმდენად ხარისხიანად ყალბდებოდა, რომ მის ამოცნობას ჩვეულებრივი პოლიციელი შემოწმების დროს ვერ შეძლებდა. ადამიანებს, რომლებიც ამ დოკუმენტებით სარგებლობდნენ, მარტივი მიზანი ჰქონდათ – მათთვის მთავარი იყო, ქვეყანაში ლეგალურად ჰქონოდათ დარჩენის უფლება, თუმცა ისინი ამ დოკუმენტაციით საზღვრების გადაკვეთას ვერ შეძლებდნენ.

„პირველი“

20-მდე სტუდენტი სასწავლო კურსსა და საველე პრაქტიკას გაივლის

პრემიერ-მინისტრის ინიციატივის — „სტაჟირება საჯარო სამსახურში“ ფარგლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სატყეო ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გარემოს დაცვის სამინისტროში გაივლიან.

სწავლის დასრულების შემდეგ, მომავალი ტაქსატორები ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმდებიან და საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ ტყეების ინვენტარიზაციის პროცესში ჩაერთვებიან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, თეიმურაზ მურღულიამ სატყეო ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტებს ახალგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადების სასწავლო კურსის დაიწყება მიულოცა.

პროექტი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება. ტრენინგების მიზანია ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებისთვის ტყეთმომწყობის — ტაქსატორების მომზადება და მათი აღჭურვა შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. სტუდენტებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს შესაბამისი გამოცდილების მქონე ადგილობრივი ექსპერტები ჩაუტარებენ. თემურ მურღულია: **„ინვენტარიზაცია ქვეყანაში სატყეო პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ტაქსაციის განხორციელება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ რეალურად თუ რა ბუნებრივ რესურსს ვფლობთ, შევიმუშაოთ ტყის მდგრადი მართვის სტრატეგია და სწორად დაიგეგმოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები“.**

„ინტერპრესნიუსი“

პარიზში დავით კაკაბაძის ნამუშევრები გამოიფინება

პარიზში, 16 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე დავით კაკაბაძის ნამუშევრები გამოიფინება. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენა საქართველოსა და ევროკავშირის კულტურული დაახლოების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კომპანია „სილქნეტის“ მხარდაჭერით მოეწყობა.

დავით კაკაბაძის გამოფენა 16 სექტემბერს პარიზში, მაიოლის მუზეუმში (Musée Maillol) გაიხსნება. მაიოლის მუზეუმი 5 თვის განმავლობაში უმასპინძლებს ექსპოზიციას, სადაც დავით კაკაბაძის 40 ნამუშევარი იქნება გამოფენილი, მათ შორის კონსტრუქციულ-დეკორატიული კოლაჟები და სხვადასხვა პერიოდის გრაფიკა, ზეთის და აკვარელის ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნამუშევრები კაკაბაძეების ოჯახის კერძო კოლექციიდან.

მაიოლის მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია წარმოადგენს ფრანგი მოქანდაკის და მხატვრის არისტიდ მაიოლის ნამუშევრებს. მუზეუმი ასევე ცნობილია დროებითი გამოფენების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ლევან ფ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ლევან ფ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ჩემპიონ-მაგნუმი“-ის მოდელის არარეგისტრირებული საფანტის პისტოლეტი, „ტოზ-8“-ის მოდელის შაშხანა და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სასროლად ვარგისია. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

დაპირისპირება ნაციონალებში და პოლიტიკური კარუსელი

ირუსუდან შელია
557-100-768

შინაგან საქმეთა მინისტრი ნაციონალური მოძრაობის შეთქმულებასა და დესტაბილიზაციის მცდელობაზე საუბრობს, თუმცა ჩანს, საერთო აზრი თავად საპარლამენტო ოპოზიციაშიც არ არსებობს. უპირისპირდებიან თუ არა „ძველი ნაციონალები“ საზღვარგარეთ მყოფ მიხეილ სააკაშვილს და რა კონფიგურაციას მივიღებთ უახლოეს მომავალში ოპოზიციურ ფლანგზე, „ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტი მამუკა გამყრელიძე სარფში ნაციონალურ შეკრებაზე გიგა ბოკერიას არყოფნაზე ამახვილებს ყურადღებას და ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას პროგნოზირებს.

მამუკა გამყრელიძე ასპარეზზე ახალი ძალის გამოჩენას პროგნოზირებს

— თუ შინაგან საქმეთა მინისტრს ან ვინმე სხვას აქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი დივერსანტების 500-კაციანი ჯგუფი ქვეყანაში დესტაბილიზაციას გეგმავს, აუცილებელია, ძალოვანმა უწყებებმა შესაბამისად იმოქმედონ და ამ მხრივ არსებული საფრთხეები გაანეიტრალონ. მსგავსი ქმედება ქვეყნისთვის სასიკეთო მართლაც არ არის, თუმცა ვფიქრობ, ბოლო პერიოდში სხვა მიმართულებით არსებული პრობლემები ბევრად მნიშვნელოვანი და სერიოზულია. რაც უნდა გვიმტკიცოს ლევან იზორიამ, არა მგონია, საზოგადოებას პრობლემები ეჩვენებოდეს და არ მჯერა, რომ კრიმინალური დანაშაულის ფაქტები ჩვეულებრივი ყოფითი შემთხვევებია.

— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ სოციალური თუ კრიმინალური ვითარების ფორსირება საზოგადოებაში პანიკის შესაქმნელად ხდება. ამ შემთხვევაში ოპოზიციის პოლიტიკურ ინტერესებს გამორიცხავთ?

— არ გამოვრიცხავ, ამ ვითარებას ვიღაც საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდეს. პოლიტიკურ ბრძოლაში არაფერია გამორიცხული, მაგრამ ფაქტები ხომ არსებობს? მაშინ ისიც შეგვიძლია ვიკითხოთ, ვინ ისარგებლა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებით, რომლის საქმეც დღემდე არ გამოძიებულა. ისიც კი ვერ გავიგეთ, მოკლეს თუ თავი მოიკლა?! ექპერტიზას ამის დასადგენად მაქსიმუმ ორი კვირა სჭირდებოდა. კარგი ექსპერტები სიმართლეს კიდევ უფრო სწრაფად დაადგენდნენ, მაგრამ დღეს ამაზე არავინ საუბრობს. არადა ეროსი კიწმარიშვილი საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობადი ფიგურა იყო და მას, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე „ქართული ოცნების“ შეწუხება შეეძლო. ფაქტია, მსგავს ვითარებაში პასუხისმგებლობა ყოველთვის ხელისუფლებას ეკისრება. აბსურდია, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები დღემდე, ნებისმიერ პრობლემაზე გაუთავებლად ნაციონალური მოძრაობის ავადსახსენებელ 9-წლიან მმართველობაზე საუბრობენ.

— ეს ტაქტიკა „ქართულ ოცნებას“ ორი წელია არ შეუცვლია და საზოგადოებაზე ეფექტურად უკვე აღარ მუშაობს. ვერც ეს შემოდგომა გახდება პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისი?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს იმაზე საუბარი, რა ხდება ახლა ქვეყანაში და წარსულს თავი დაანებოს. იგივე შემიძლია ვთქვა ნაციონალურ მოძრაობაზე, რომლის ლიდერები აქცენტს ბიძინა ივანიშვილზე აკეთებენ. დაანებონ ამ ადამიანს თავი... ბიძინა ივანიშვილი ისე გაქრა ასპარეზიდან, არათუ პოლიტიკას ეკარება, საზოგადოებრივ ფლანგზეც არ ჭაჭანებს. ან რით ამტკიცებს ნაციონალური მოძრაობა, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას კულუარებიდან მართავს? პოლიტიკურ თამაშებში მსგავსი ტაქტიკა პოლიტიკური კულტურის არარსებობაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ეს საზოგადოების ხასიათსაც გამოხატავს. სამწუხაროდ, სიმშვიდეს არ ვეძებთ, ერთმანეთთან უსაგნო კამათი და დაპირისპირება უყვართ, თითქოს მსგავსი ურთიერთობით საზოგადოება სექსუალურად კმაყოფილდება.

— რატომ ტრიალებს საზოგადოება ერთ წრეზე და ვერ ახერხებს მთავრობის კონტროლს, მით უმეტეს, როცა გამოცდილებაც საკმარისად დაგროვდა?

— თავის დროზე, ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებამ მოიყვანა და სრული კარტ-ბლანში მისცა. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის — ასე მოვიდა ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და ბიძინა ივანიშვილის მთავრობაც. საზოგადოება სწორედ ახლა მიხვდა, რომ ყველა შემთხვევაში სულელურად მოიქცა — პოლიტიკაში გადამწყვეტი, პერსონა კი არა, იდეა უნდა იყოს. სააკაშვილის შემთხვევაში რაღაც დოზით იდეა არსებობდა, თუმცა ამას ცუდი განვითარება და ქანჩების მოჭერა მოყვა. საზოგადოებამ სწორედ ამიტომ წაართვა ძალაუფლება. მერწმუნეთ, ხალხის განწყობა რომ არა, სააკაშვილს ვერაფერი შეაჩერებდა. „ქართულ ოცნებას“ კი საამისოდ 9 წელიც არ დასჭირდა, რადგან ხელისუფლებაში აბსოლუტურად პოპულისტური ლოზუნგებით მოვიდა, რომელთა შესრულება შეუძლებელია. თანაც ბარკალი, რომელსაც ადრე მიხეილ სააკაშვილი ჭამდა, ახლა გუბაზ სანიკიძეს შემოეჭამა. ახლა მთავარია, საზოგადოებამ ორი დაპირისპირებული მხარის ეტაპობრივად დაახლოებასა და საერთო აზრამდე მისვლაზე იზრუნოს, რადგან ერთი ქვეყანა გვაქვს და ორივე ძალა საქართველოში ცხოვრობს. შესაბამისად, ქვეყნის განვითარება ორივე მათგანის ინტერესებშია. თუ ამ ერს თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს, დაპირისპირებაზე უარს იტყვის და ჩამოყალიბებულ ახალ ძალას აირჩევს, რომელიც ამ ქვეყანას როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მოაწესრიგებს.

— თქვენი შეფასებით, ახალი ხელისუფლება 2016 წლამდეა ასარჩევი?

— რა თქმა უნდა, როცა ხელისუფლების ცვლილებაზე ვსაუბრობ, 2016 წლის არჩევნებს ვგულისხმობ. ახალი რევოლუციის კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ეს ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. როგორც მოგახსენეთ, მანამდე კი დაპირისპირებული ძალების ერთ აზრამდე მიყვანაა აუცილებელი.

— სანამ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ აზრზე ჩამოყალიბდება, საერთო პოზიცია თავად კოალიციაშია მოსაძებნი. კარგა ხანს ისიც ვერ გაირკვა, ამერიკაში ირაკლი ღარიბაშვილი გაემგზავრებოდა თუ გიორგი მარგველაშვილი?

— ეს არანორმალური მოვლენაა. ისიც არანორმალურია, რომ მაია ფანჯიკიძე, რომელიც მთავრობაში პაატა ზაქარეიშვილის შემდეგ ყველაზე სუსტი მინისტრია, მთელი მსოფლიოს გასაგონად ამბობს — პრეზიდენტს ვარწმუნებ, ამერიკაში არ წავიდესო.

> **დაპირისპირება არამხოლოდ მთავრობაში, საპარლამენტო ოპოზიციაშიც დაწყებულია. ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობის ორ ჯგუფად დაყოფა უკვე ნათლად ჩანს. ერთ მხარს არიან შედარებით ახალგაზრდა ლიდერები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს სარფში შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ სარფში პარტიის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ძველი გუნდიდან მხოლოდ გოკა გაბაშვილი იმყოფებოდა; მეორე ფლანგზე კი, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი და მათი თანამოაზრეები აღმოჩნდნენ. ვფიქრობ, მიხეილ მაჭავარიანი მალე პოლიტიკურ პროცესებს საერთოდ გაერიდება. დაპირისპირების საფუძველი გახდება ისიც, ვინ დაინიშნება პარტიის გენერალურ მდივნად.**

— ეს ინფორმაცია გიგი უგულავას სახელით გამოქვეყნებულ წერილზე დაყრდნობით გაქვთ?

— ეს წერილი „ფეიკი“ იყო! მხოლოდ ჩემ პოლიტიკურ ანალიზს გთავაზობთ. ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირებას, ჯერჯერობით, მალავენ, თუმცა გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის კონტაქტი რომ არ არსებობს, ეს კარგად ჩანს.

— ანუ თქვენი სქემის მიხედვითაც, გიგა ბოკერია ფლაგმანს გიორგი მარგველაშვილისა და ირაკლი ალასანიასთვის ამზადებს?

> **— მიუხედავად იმისა, რომ გიგა ბოკერია და გიორგი მარგველაშვილი მეგობრები არიან, არა მგონია, პოლიტიკურ ასპარეზზე ეს ჯგუფი შეიკრიბოს. პრეზიდენტთან ურთიერთობის გაღრმავებას პროდასავლური ნიშნის მქონე ალასანია უფრო შეეცდება. მენიშნა ისიც, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა საქართველოში ვიზიტისას ირაკლი ალასანიას პიროვნება მაქსიმალურად წინ წამოწია.**

— ეს ალასანიასადმი ამერიკის მხარდაჭერის მანიშნებელია?

— ლობმა კარგად იმუშავა, თუმცა მე თუ მკითხავთ მარგველაშვილსა და ალასანიას ირაკლი ღარიბაშვილი მირჩევნია. ამ ორ ადამიანს ხერხემალი არ აქვს. ირაკლი ალასანიამ პოზიცია რამდენჯერმე შეცვალა, ირაკლი ღარიბაშვილი კი ერთი პრინციპის ერთგულია, ხოლო საქმეს კარგად აკეთებს თუ ცუდად, ამას ისტორია შეაფასებს. ფაქტია, 2016 წლის პარლამენტი პოლიტიკურად საკმაოდ ჭრელი იქნება.

— თქვენი გუნდითაც ხომ არ აპირებთ პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას?

— თუ ვიგრძნობთ, რომ საზოგადოებაში ჩვენი პოლიტიკური გააქტიურების მოთხოვნა არსებობს, ცხადია, გაცილებით აქტიურ ნაბიჯებს გადავდგამთ. ახლა მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს. პირადად მე, სოფლის მეურნეობის პროექტზე ვმუშაობ. მის ფარგლებში შევხვდი ადამიანების, რომლებსაც ქვეყნის აშენება რეალურად შეუძლიათ. სამწუხაროდ, ისინი ჩაჩოჩებულები არიან, ყველაფერს კი, ნაფტალინიანი ხალხი მართავს. ჩვენი მიზანია ის მაინც მოვახერხოთ, რომ მომავალ მთავრობას, რომლისთვისაც პოლიტიკური დაპირისპირება არ იქნება საინტერესო და მხოლოდ ქვეყანას მოემსახურება, პროფესიონალების მიერ მომზადებული რეკომენდაციები მივაწოდოთ.

ვერსიანიუსი

გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი აშშ-ში ჩაიშალა

ქვეყნის პირველი პირის თქმით, პრეზიდენტის ინსტიტუტის საწინააღმდეგოდ გადაიდგა ნაბიჯები: **„ეს ნაბიჯები გადადგმულია არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ უწყებრივი დაპირისპირებიდან. თუ წავალთ ამ გზით და შევეცდებით, მონოპოლიზაცია განვახორციელოთ რომელიმე ინსტიტუტში, იმას მივიღებთ, რაც არ მოგვწონდა სააკაშვილის ხელისუფლებაში“.**

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მის მიმართ კრიტიკასაც გამოეხმაურა და განაცხადა: **„არის გარკვეული გახშირებული კრიტიკა პრეზიდენტისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის, არსებული რამდენიმე პრობლემური საკითხიდან გამომდინარე. მინდა ვუპასუხო იმ კრიტიკას, რომელიც ჩემს მიმართ მოდის აღმასრულებელი გუნდის გარკვეული წარმომადგენლებისგან, ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან და დავარწმუნო ყველა, რომ აქ არ არის პიროვნული, პოლიტიკური დაპირისპირება, აქაა პრინციპული მცდელობა პრეზიდენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის, რეალურად საქართველოში ჩამოაყალიბოს ფუნქციონირებადი დემოკრატია. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა ინსტიტუტი, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ან სასამართლო, ასრულებს თავის მოვალეობას. ჩემი პოზიციაც აქედან გამომდინარეობს. არც ერთ მომენტში არ მქონია მცდელობა, პოლიტიკურად დაპირისპირებული ნაბიჯი გადამედგა“.**

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, დაპირისპირება რომელიც მასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებობდა, „გადავიდა პრობლემურ დაპირისპირებაში“.

„ინტერპრესნიუსი“

ძველი თბილისის ყოფილ გამგებელს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა

ძველი თბილისის ყოფილ გამგებელს, ლაშა ფურცხვანიძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, რომლის საფუძველზეც ოთხი წლით პირობითი მსჯავრი და 30 000 ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო.

პროკურორმა ზეიკო ქობალიამ სასამართლო პროცესზე დააყენა შუამდგომლობა, რომ აღიარებითი ჩვენების სანაცვლოდ ლაშა ფურცხვანიძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდეს.

ფურცხვანიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 337-ე მუხლებით აქვს წაყენებული, რაც სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას გულისხმობს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მას ასევე ერთი წლითა და 6 თვით საჯარო სამსახურში თანამდებობაზე ყოფნის უფლება შეეზღუდა. დღევანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე ყადაღა მოეხსნა იმ ქონებას, რომელიც ფურცხვანიძეს გირაოს სახით ჰქონდა ჩადებული.

„გრინსერვის ჯგუფთან“ დაკავშირებულ ბრალდებაზე ლაშა ფურცხვანიძე მის ყოფილ მოადგილესთან, კობა ხარშილაძესთან ერთად შარშან დეკემბერში დააკავეს. მოგვიანებით ფურცხვანიძე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. დაახლოებით ერთი თვის წინ ფურცხვანიძესთან ერთად ბრალდებულ კობა ხარშილაძესთანაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მას რეალურ სასჯელად ან საპატიმრო ვადად 2 წელი განესაზღვრა. ფულადი ჯარიმის გადახდა ხარშილაძესაც დაეკისრა.

„ინტერპრესნიუსი“

კარლ ბილდტი საერთაშორისო სკანდალში გაეხვია

AFTONBLADET AVSLÖJAR

Exminister: Carl Bildt är korrupt

▸ Georgisk ex-minister avslöjar hemliga överföringar ✓ **Carl Bildt:** "Jag vet ingenting om detta"

"Blev åthutad av Carl Bildt"

▸ Förre ambassadören rapporterade kritiskt om Georgien – blev tillsagd och fick sluta

Hoppas Bildts tid som chefsdiplomat är förbi

KULTUR **TORSTEN KÅLVEMARK** Sällan har Sveriges utrikesminister haft ett så vacklande omdöme

LEDARE **Utrikespolitik ska inte vara till salu**

კარლ ბილდტისა და ნაციონალური მოძრაობის გარიგებების შესახებ დიდი ხანია პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ. დღეს კი მათი „საიდუმლო სერობა“ დოკუმენტურად დასტურდება და თვალსაჩინოა, რომ საქმე საერთაშორისო დონის სკანდალთან გვაქვს. შვედური გამოცემა „აფტონბლადეტი“ Kreab-ისთვის საიდუმლო გადარიცხვებს აქვეყნებს. დოკუმენტებით ირკვევა, რომ ყველაზე მეტი თანხა კომპანიის ანგარიშზე გადარიცხულია მაშინ, როდესაც ნაციონალურ მოძრაობას დახმარება სჭირდებოდა არა საგარეო პოლიტიკის მხრივ, არამედ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო — 2007 წლის ნოემბერსა და 2008 წლის იანვარ-თებერვალში; 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შეხსენება არავის სჭირდება, 2008 წელს კი, როდესაც საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების გაყალბების ეჭვი გაჩნდა, კარლ ბილდტმა თავის ბლოგზე დაწერა: „არჩევნების შედეგების სინამდვილე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას... ჩვენ უნდა მივულოცოთ საქართველოს – ქვეყანამ აჩვენა დემოკრატიული არჩევნები და ეკონომიკური რეფორმები“. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან კარლ ბილდტის კორუფციულ გარიგებას ადასტურებს შვედეთის ყოფილი ელჩი საქართველოში ჰანს გუნარ ადენი. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ბილდტი სააკაშვილის ახლო მოკავშირე იყო, კრეაბი კი სააკაშვილისთვის მუშაობდა. უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ დიპლომატი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოდან სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკული ანგარიშების გამო გაიწვია.

გაზეთი „აფტონბლადეტი“ Kreab-ისთვის საიდუმლო გადარიცხვებს აქვეყნებს

სკანდალური სტატიის ავტორი ლიზა როსლუნდი წერს, რომ კარლ ბილდტმა საქართველოს მთავრობა PR-სააგენტო Kreab-ის კლიენტი გახადა, რის შემდეგაც იგი პოლიტიკურად მხარს უჭერდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

გაზეთმა „აფტონბლადეტმა“ დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, რეჟიმმა კომპანია Kreab-ს, ჯამში, 20 მილიონი კრონი გადაურიცხა.

ბილდტი კორუმპირებულია, — აცხადებს სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

„აფტონბლადეტი“ ადრე იუწყებოდა, რომ „მოდერატების“ პარტიასთან დაკავშირებულმა კომპანიამ Kreab სააკაშვილის მთავრობასთან კონტრაქტი 2006 წელს გააფორმა. კლიენტის მოძებნაზე მაშინ პასუხისმგებელი კომპანიის მაშინდელი თავმჯდომარე კარლ ბილდტი გახლდათ. Kreab-ის ბრიუსელის ოფისის ხელმძღვანელის, კარლ ისაკსონის განცხადებით, კომპანია უნდა დახმარებოდა საქართველოს მთავრობას მედიასთან და პოლიტიკოსებთან კავშირების დამყარებაში, „მთავრობა დადებითი სახით უნდა წარმოჩენილიყო მედიაში“.

კონტაქტების დამყარების შემდეგ, ბილდტი მოკლე ხანში სამთავრობო ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა და Kreab-ის მმართველი საბჭო დატოვა. გაზეთ „აფტონბლადეტს“ ახლა შეუძლია გამოამჟღავნოს ის დოკუმენტი, რომელსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის დროზე გრიფი საიდუმლო დაადო. ეს მოიცავს 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე საქართველოს მთავრობიდან Kreab-ისთვის 14 საბანკო გადარიცხვას, ჯამში, 4,5 მილიონი ლარის ოდენობით, რაც 18 მილიონ კრონზე მეტია. ტრანზაქციებს, რომლებიც ბელგიური ING ბანკის მეშვეობით ბრიუსელში Kreab-ის ხელმძღვანელ გეორგ დანელთან ირიცხება, ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი.

2008 წელს დანელის მიერ პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილი წერილი გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების თანახმად, Kreab-ისთვის ყოველთვიურად უნდა გადაერიცხათ ფიქსირებული 1 მილიონი კრონი და ამის გარდა, დამატებითი თანხები „განსაკუთრებული პროექტებისათვის“. ეს ხდებოდა 2008 წლის იანვრიდან თებერვლამდე, იმ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელზეც ეჭვი არსებობს, რომ გაყალბდა. წერილის თანახმად, თვიური გადასახადიც უნდა გაზრდილიყო.

2006 წლის შემდეგ შვედეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდა. გარდა კერძო, არაოფიციალური ვიზიტებისა, ბილდტმა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, 11 ოფიციალური ვიზიტი გამართა ამ პატარა სახელმწიფოში. ბილდტი გულმოდგინედ უჭერდა მხარს სააკაშვილს. მას შემდეგ, რაც შვედეთის იმდროინდელმა ელჩმა ჰანს გუნარ ადენმა ანგარიში გაგზავნა სამინისტროში 2008 წლის არჩევნების გაყალბების თაობაზე ეჭვების არსებობის შესახებ, იგი უკან შვედეთში გაიწვიეს. მაშინ ბილდტმა საკუთარ ბლოგზე დაწერა: „არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება“. მოგვიანებით, საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშები აღნიშნული იყო, რომ არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა ხარვეზებს.

გიორგი ხაინდრავამ „აფტონბლადეტთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ გაგონილი ჰქონდა Kreab-ის კონტრაქტის შესახებ. „ეს დიდი თანხაა საქართველოსნაირი პატარა და ღარიბი სახელმწიფოსთვის. იმაზე მეტი, ვიდრე ამერიკულმა ლობისტურმა ორგანიზაციებმა მიიღეს ხუთი წლის განმავლობაში.

ხაინდრავამ ასევე აღნიშნა, რომ ბილდტი საერთაშორისო ასპარეზზე „სააკაშვილს ზურგს უმაგრებდა“ და უარყოფდა 2008 წლის არჩევნების გაყალბებას, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს ამაზე განგაში ჰქონდათ ატეხილი.

კარლ ბილდტმა „აფტონბლადის“ კითხვებს ელფოსტით უპასუხა:

— 2006 წელს საქართველო Kreab-ის კლიენტად რატომ აიყვანეთ?

— ეს მე არ გამიკეთებია.

— რატომ იყო საქართველოსთვის Kreab-ის მომსახურება ასე ძვირფასად?

— ეს კითხვა მათ დაუსვით. ამის შესახებ არაფერი ვიცი, რადგან მაშინ შეხება აღარ მქონდა Kreab-თან.



ხელშეკრულება "KREAB AB"

მიმღები ფ/პ GEORG DANELL

თარიღი	თანხა	ვალუტა	ექვივალიტი ლარში	დღგ	საშემოსავლო	სულ ჯამი ლარში
26.12.06	167,000.00	EUR	376,084.00		71,618.00	447,702.00
30.01.07	100,000.00	EUR	221,910.00	39,943.80	22,191.00	284,044.80
20.02.07	100,000.00	EUR	224,710.00	40,447.80	22,471.00	287,628.80
27.03.07	100,000.00	EUR	225,790.00	40,642.20	22,579.00	289,011.20
26.04.07	100,000.00	EUR	230,670.00	41,520.60	23,067.00	295,257.60
22.05.07	100,000.00	EUR	227,220.00	40,899.60	22,722.00	290,841.60
02.07.07	100,000.00	EUR	224,550.00	40,419.00	22,455.00	287,424.00
26.07.07	100,000.00	EUR	229,600.00	41,328.00	22,960.00	293,888.00
30.08.07	100,000.00	EUR	226,100.00	40,698.00	22,610.00	289,408.00
01.10.07	100,000.00	EUR	234,870.00	42,276.60	23,487.00	300,633.60
25.10.07	100,000.00	EUR	231,840.00	41,731.00	23,184.00	296,755.00
29.11.07	100,000.00	EUR	238,880.00	42,476.80	23,888.00	305,244.80
06.12.07	100,000.00	EUR	237,400.00	40,860.00	23,740.00	302,000.00
10.12.07	200,000.00	EUR	469,880.00	86,972.00	46,988.00	603,840.00
ჯამი	1,567,000.00	EUR	3,599,504.00	580,215.40	322,342.00	4,502,061.40

საქართველოს ეროვნულ ბანკს

აგადასახადო დავალება № 5 — თარიღი 26.12.06წ

ayment order — Date

ანკის (ორგანიზაციის დასახელება) Name of bank	სახელმწიფო ხაზინა
ანხა Amount	167000-00 ევრო (ას სამოცდაშვიდი ათასი ევრო და 00 ევრო ცენტი)
ენეფიციარი Beneficiary	Georg Danell
ენეფიციარის ანგარიშის ნომერი Account number of beneficiary	IBAN ; BE 22 3101 0022 6247 BIC: BBRUBEBB
ენეფიციარის ბანკი Bank of beneficiary	ING Bank, Avenue de Tervueren 10, 1040 Etterbeek, Belgium
შუამავალი ბანკი Mediator bank	
გადასახადის დასახელება Details of payment	ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობისათვის
გადამხდელი ორგანიზაცია Payment organization	მთავრობის კანცელარია
საკომისიო გასამრჯელო დაფარეთ ანგარიშიდან	№ 001189663

ბ.ა. — პირველი ხელმოწერა — მეორე ხელმოწერა

27 -12- 2006

ეროვნული ბანკი NATIONAL BANK OF GEORGIA OPERATIONAL DEPARTMENT

— თქვენ მხარს უჭერდით სააკაშვილს, ამბობდით, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ.

— მე იგივე ვთქვი, რაც საერთაშორისო დამკვირვებლებმა.

— ექსმინისტრი გიორგი ხაინდრავა ამტკიცებს, რომ პოლიტიკურად კორუმპირებული ხართ, კორუფცია ნაწილობრივ იმის საშუალებით მოხდა, რომ იცავდით სარფიან კონტრაქტს Kreab-სა და საქართველოს მთავრობას შორის.

— ხაინდრავა ეკუთვნოდა უკომპრომისო ოპოზიციას სააკაშვილის წინააღმდეგ, შესაძლოა ამის გამოც საუბრობს ამაზე. მისი გაბრაზება გამოწვეულია იმით, რომ მე ისევე, როგორც სხვები ევროკავშირსა და აშშ-ში, ვაკრიტიკებთ მთავრობას ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლო სისტემის გამოყენების გამო. ამან გამოიწვია თავდასხმები, მათ შორის, ჩემს მიმართაც. საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პირად საუბარში გამოხატეს წუხილი ამ განცხადებების გარკვეული ნაწილის გამო.

Kreab Gavin Andersson-ის უფროსი პარტნიორი **გეორგ დანელი** 2006 წელს Kreab-ის ხელმძღვანელი იყო ბრიუსელში:

— ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით ვმუშაობთ. რასაკვირველია, ბილდტი ჩართული იყო ამ სამუშაოში იმ ფუნქციებით, რაც მაშინ გააჩნდა. იგი ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე იყო, თუმცა დაგვტოვა, როდესაც მთავრობაში შევიდა. მთელი ფული Kreab-ში არ მიდიოდა. ჩვენ გვევალებოდა თანხა სხვა კომპანიებისა და კონსულტანტებისთვისაც მიგვეცა. მკითხეთ, რამდენი მივიღეთ. ეს თანხა გაცილებით ნაკლებია დასახელებულ თანხასთან შედარებით.

— ტრანზაქციები ხომ თქვენს სახელზე ხორციელდებოდა?

— Kreab-ის სახელზე, შემდგომ ჩვენ ვანაწილებდით საქართველოსთვის სასურველ კონსულტანტებზე, რომლებიც ჯგუფში შედიოდნენ და დახმარებას გვიწევდნენ.

— რატომ არ რიცხავდნენ ფულს პირდაპირ იმ დანარჩენ ორგანიზაციებზე?

— მათთვის მარტივი იყო, რომ ერთი კომპანია ყოფილიყო.

— გესმით, რატომ ჩნდება კითხვები კორუფციასთან დაკავშირებით?

— არა, ეს აბსურდია. ეს იყო დიდი პროექტი დროის პატარა მონაკვეთში. ბევრი მხარე იყო ჩართული, ხოლო კლიენტი იყო სახელმწიფო. ამის საფუძველი საერთოდ არ არსებობს, ხოლო კარლ ბილდტი არ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში. იგი უკვე აღარ იყო ჩვენს კომპანიაში.

— ნაწილობრივ, თქვენი მისია იყო პოლიტიკური კონტაქტების ხელშეწყობა, ბილდტი კი პარალელურად პოლიტიკურ დონეზე მუშაობდა.

დასასრული მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

— იგი არ მუშაობდა პარალელურად. როდესაც იგი მთავრობის წევრი გახდა, ჩვენ დაგვტოვა. მას არასოდეს მიუღია მონაწილეობა კლიენტთან მოლაპარაკებებში. იგი არასდროს შედიოდა რომელიმე ორგანიზაციაში, სადაც მმართველ საბჭოს სრული კონტროლი აქვს, არასოდეს ჰქონია პასუხისმგებლობა რომელიმე პროექტზე.

სტატიის დასასრულს, ავტორი სააკაშვილის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებზე საუბრობს: **„მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „უფლებამოსილების გადაჭარბების“ ბრალდებით, რაც გულისხმობს 2007 წელს, რეჟიმის შიგნით კორუფციის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციების ძალადობით ჩახშობას, პოლიციის შესვლას და იმ ტელევიზიის დახურვას, რომელიც ოპოზიციის ლიდერების განცხადებებს ავრცელებდა. იგი ასევე ეჭვმიტანილია 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში“.**

შვედურმა გავლენიანმა გამოცემა „აფტონბლადეტმა“ მიხეილ სააკაშვილთან კარლ ბილდტის ახლო კავშირის შესახებ კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა. ინტერვიუში საქართველოში შვედეთის ყოფილი ელჩი ჰანს გუნარ ადენი ადასტურებს, რომ საქართველოდან მოულოდნელად მას შემდეგ გაინვიეს, რაც ანგარიშში დაწერა, რომ საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ეჭვები არსებობდა. შვედეთის ყოფილი ელჩი საქართველოში ჰანს გუნარ ადენი საქართველოს მთავრობის შესახებ კრიტიკულ ანგარიშებს წერდა. მაშინ მას მკაცრად უსაყვედურეს და მიუთითეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ბილდტი უკმაყოფილო იყო. **„ზოგადად, საქართველოში ცნობილია, რომ ბილდტი სააკაშვილის ძალზე ახლო მოკავშირე იყო, ხოლო Kreab კი სააკაშვილისთვის მუშაობდა. ეს საიდუმლო არ არის“**, — აცხადებს იგი.

შვედეთის ყოფილი ელჩი თბილისში ჰანს გუნარ ადენი გაზეთ „აფტონბლადეტთან“ საუბრის დროს აღნიშნავს, რომ იგი საქართველოში მოვლენების განვითარებას თვალს ადევნებს: **„ხანდახან კვლავ გაისმის კრიტიკა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ და გარკვეული ლობისტების მიმართ, რომელსაც სააკაშვილი დიდ ფულს უხდიდა. მათ შორის ასახელებენ ხოლმე ხშირად ბილდტს და Kreab -ს. ბილდტი საქართველოში ძალზე ახლო მოკავშირე იყო, ხოლო Kreab კი სააკაშვილისთვის მუშაობდა. ეს საიდუმლო არ არის, თუმცა თანხებზე არასდროს ყოფილა საუბარი, არც იმაზე, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს პროცესი“.**

ყოფილი მინისტრის ხაინდრავას ბრალდებებზე ბილდტის მიმართ, ადენი აღნიშნავს:

— ბუნებრივია, ეს კითხვა შეიძლება დაისვას. საქართველოში ბევრს დაუსვამს ეს კითხვა.

— რა ახსნა-განმარტება მიიღეთ იმაზე, რომ უნდა დაგეტოვებინათ ელჩის თანამდებობა?

— საერთოდ არაფერი განუმარტავთ. მითხრეს, რომ უცებ უნდა ჩამელაგებინა ჩემოდნები და სახლში გავმგზავრებულიყავი.

ეს მოხდა იმ ანგარიშის შემდეგ, რომელიც ადენმა 2008 წლის იანვარში დაწერა არჩევნების გაყალბების თაობაზე ეჭვების არსებობის შესახებ. „მე მაშინ ჯერ კიდევ წელიწადნახევარი მქონდა ვადა, ჩემი გამოგდება არ შეიძლებოდა. მე გამომიძახეს სახელმწიფო მდივანთან და მითხრეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი უკმაყოფილო იყო ჩემი ანგარიშებით, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებს და თავად საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაწერილ ბლოგს, რის შესახებაც მე არაფერი ვიცოდი. შემეკითხნენ, რატომ მივეცი თავს უფლება, ამ სახით გამომეხატა სათქმელი?

დამკვირვებლებმა თავიანთი თავდაპირველი პოზიტიური დასკვნები არჩევნების შესახებ მოგვიანებით შეცვალეს და აღიარეს, რომ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მე ვიგრძენი, რომ ამ ყველაფრის შემდეგ თანამშრომლობა საგარეო საქმეთა მინისტრთან არარეალური იყო.

2009 წელს ადენს დაევალა საქართველოში ჩასვლა, რათა ეხელმძღვანელა საელჩოსთვის შვედეთის ევროკავშირის თავმჯდომარეობის პერიოდში.

— როდესაც ჩავედი საქართველოში და შევუდექი საქმიანობას, უცბად საწინააღმდეგო ბრძანება მოვიდა. ერთადერთი რაც მითხრეს იყო: ხომ იცი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი უკმაყოფილოა შენი ანგარიშით. სავარაუდოდ, იმ ანგარიშს გულისხმობდნენ.

— რა აზრის ხართ იმის თაობაზე, რომ ბილდტმა საქართველო აიყვანა Kreab-ის კლიენტად, Kreab-მა კი ძალიან დიდი თანხა აიღო ამაში?

— ბილდტი სააკაშვილის ძალიან ახლო მოკავშირე იყო. ძალზე რთული იყო ამ ნიუანსების გათვალისწინებით ანგარიშის მომზადება, თუ რა მოხდა საქართველოში. ჩემი, როგორც ელჩის, მოვალეობა იყო, ანგარიში გამეკეთებინა მიღწეული როგორც წარმატებების შესახებ, ასევე, სირთულეებსა და ხარვეზებზეც. არსებობს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეები. მე ვგრძნობდი პოლიტიკური მმართველი გუნდის მხრიდან, რომ ანგარიშები სააკაშვილის ბნელი მმართველობის შესახებ არ იყო ხელსაყრელი.

— ახლა სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— ჩემი აზრით, საკმაოდ უცნაურია, რომ დასავლეთში გარკვეული ძალები აკრიტიკებენ საქართველოს დღევანდელ მთავრობას, რომ ის ახორციელებს „გრძნეულებზე ნადირობას“ და დევნის ყოფილ ოპონენტებს. შეცდომები ხომ უმაღლეს დონეზეც შეიძლება დაუშვან.

ადენს მაგალითად მოჰყავს დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები, როგორებიც არიან ბერლუსკონი და შირაკი, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

„ვერ ვხვდები, რატომ ჩნდება პროტესტი, რომ ეს პოლიტიკური დევნაა, როდესაც იმავეს ქართველები აკეთებენ. ჩემი აზრით, ეს უცოდინრობა და უსამართლობაა“, — აცხადებს შვედეთის ყოფილი ელჩი საქართველოში, ჰანს გუნარ ადენი.

„ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნებას, კანონიერი თუ უკანონო გზით, ვერასოდეს მოახერხებენ“

ღევან ბერძენიშვილის პოლიტიკური პროგნოზები

ირუსუდან შელია
557-100-768

პოლიტიკური შვებულება დასრულებულია — საქართველოს პარლამენტი ფორმალურად თბილისს დაუბრუნდა, სადაც კომიტეტის სხდომები ნაციონალური მოძრაობის გარეშე ტარდება, შინაგან საქმეთა მინისტრი საპარლამენტო ოპოზიციას სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხელს, გაერო-ში გამგზავრების საკითხიც გადაწყვეტილია — გიორგი მარგველაშვილის ამერიკაში ვიზიტი ჩაშლილია... ერთი სიტყვით, პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში ახალ ძალებს იკრებს. „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ღევან ბერძენიშვილი აფასებს.

— ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება პარლამენტის სამუშაო ადგილის თბილისში დაბრუნებით განახლდა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით პარლამენტის მდებარეობის ადგილად ისევ ქუთაისი მიიჩნევა, ნაციონალური მოძრაობა კომიტეტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს, არადა მაშინ არაფერს ამბობდნენ, როცა სხდომები ასევე თბილისში, იუსტიციის სახლში თუ სხვა რომელიმე ადგილას ტარდებოდა. ეს მათი მხრიდან კონფრონტაციის მცდელობაა, რომელსაც არანაირი არგუმენტი გააჩნია, მით უმეტეს ახლა, როცა პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს. არავის ეგონოს, უმცირესობის წარმომადგენლები ქუთაისის სხდომებს სრული შემადგენლობით ესწრებოდნენ. მათი ნაწილი ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში ნამყოფიც კი არ არის.

— ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის ყველა პოლიტიკურ განცხადებასა თუ შეხვედრას კონფრონტაციად აფასებს. ქვეყნის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაზე საუბრობს შინაგან საქმეთა მინისტრიც. საპარლამენტო ოპოზიციას მასობრივი არეულობის დაწყების შესაძლებლობა გააჩნია?

— ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნებას პირდაპირი თუ ირიბი, კანონიერი თუ უკანონო გზით ვერასოდეს მოახერხებს. შესაძლოა სცადონ, მაგრამ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. თანაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ისეთ ტალღაზე მოვიდა, რომლის ორჯერ აგორება შეუძლებელია. მითუმეტეს იმ ლიდერებით, რომლებიც დღემდე შეინარჩუნა — მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი... თუ პარტიაში ამ მხრივ რამე შეიცვალა, ოპოზიციაში დასარჩენად მინიმალური შანსი გაუჩნდებათ. თუმცა ამისთვის საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ, საბოლოოდ, მაინც გამოიკვეთა, რომ ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის პარტიაა. დავით ბაქრაძე მათი ლიდერი არ არის, ის მხოლოდ რიგით მე-17 ადამიანია. წინა ადგილები კი, მიხეილ სააკაშვილს უკავია.

— მიუხედავად ამისა, არ ფიქრობთ, რომ ნაციონალური მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ორი წელია ხელისუფლებას თავისმართლების რეჟიმში ამყოფებს და პოლიტიკურ დღის წესრიგსაც ქმნის?

— ირმა ნადირაშვილი თუ რაღაცას იტყვის, მსგავსი კოღოს ნაკბენი ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს. მათი კრიტიკა, პირველ რიგში, სააკაშვილს უნდა შეეხოს. თუ გვეტყვიან, რომ ყოფილი პრეზიდენტი წმინდანია, თქვენ კი ქვეყანას აქცევთო, სერიოზულ ძალად ჩამოყალიბებას ვერასოდეს შეძლებენ.

— ანუ „ქართული ოცნება“ დღეს უკონკურენტო პოლიტიკური ძალაა?

— რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის მთავარი კონკურენტია. თუმცა ეს ის კონკურენციაა, სადაც მას გამარჯვების შანსი არ აქვს. ნაციონალები, ჯერჯერობით, ოპოზიციურ ფლანგზე დანარჩენებზე ძლიერები არიან, მაგრამ ასეთი პოზიცია გარანტირებული არ აქვთ. არავინ იცის ერთ დღესაც დანარჩენი ოპოზიცია სად წავა და როგორ გარდაიქმნება.

— ოპოზიციურ ფლანგზე რა ტიპის პოლიტიკურ კონფიგურაციას ვარაუდობთ?

— არ ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობა ნინო ბურჯანაძესთან დამარცხდება, მაგრამ თუ ახალი ძალა გამოჩნდება, რომელსაც საზოგადოებისთვის მეტი სათქმელიც ექნება, ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილს დაკარგავს.

— ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენაში კოალიციიდან გამოსულ უკვე კარგად ნაცნობ პარტიებს ხომ არ გულისხმობთ?

— კოალიცია 2016 წლამდე არ დაიშლება. მიუხედავად ბევრი არასერიოზული საუბრისა, გარწმუნებთ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება და კოალიცია არ დაიშლება. ეს კოალიცია მომავალ არჩევნებამდე აუცილებლად ამ შემადგენლობით მივა, აი, მერე რა იქნება, არ ვიცი. ვინც ამ თემით პოლიტიკური ქულების ჩაწერას ცდილობდა, ხალხის ნდობა დაკარგა. ბურჯანაძესა და მასთან ერთად სხვა პოლიტიკოსებსაც ვგულისხმობ, რომლებმაც საზოგადოებაში არასერიოზული პოლიტიკოსების შთაბეჭდილება დატოვეს. რა კრიზისი უნდა გამოეწვია ბურჯანაძეს, რომ ქვეყანაში ახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულიყო?! მთავარია ნაციონალურმა მოძრაობამ კანონი არ დაარღვიოს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნაციონალების გეგმებზე საუბრობს, არადა იურიდიულად მათი გეგმები შეთქმულებად მაშინ შეფასდება თუ კანონის დარღვევას გადაწყვეტენ და არა იმსჯელებენ ამ გეგმებზე. ამ ფონზე, პოლიტიკური შეფასებების გაკეთება ნაადრევი მგონია.

— შინაგან საქმეთა მინისტრს არ ეთანხმებით. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რესპუბლიკური პარტიის წევრები მთავრობის წარმომადგენლების მიმართ კრიტიკას ღიად აფიქსირებთ. პარლამენტში წარმოდგენილ ბიუჯეტსაც თქვენი პარტიის წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა. რესპუბლიკელები კოალიციისგან გასამიჯნად ხომ არ ემზადებით?

— რესპუბლიკურ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც პოზიციას ღიად აფიქსირებენ და თუ ფიქრობენ, რომ რაღაც არასწორად კეთდება, ამბობენ. ჩვენი პარტიის წევრების განცხადებებით ქვეყანა არ დაქცეულა. ბევრად მეტი პრობლემა შეიქმნება, თუ ყველა ყველაფერზე იტყვის, ვაშაო. პარლამენტი ცოცხალი ორგანიზმია. მიხეილ სააკაშვილის დროს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია რომ ნული იყო, ამიტომაც არ არსებობდა საღი აზრი. ვიმეორებ, ეს არ არის პარტიული დაპირისპირება, ჯანსაღი კამათია პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, რადგან კონკურენცია მათი პირდაპირი დანიშნულებაა.

— რაც უნდა ამტკიცოთ, რომ კოალიცია ერთიანია, შიდადაპირისპირება რეგიონებშიც ღიად იკვეთება. აჭარაში „ქართული ოცნების“ ფრაქციის წევრები არჩილ ხაბაძის გადადგომას ითხოვენ.

— კოალიციაში მართვის დონეზე პრობლემები არ არის. თუ რამე ხდება, შიგნით მოილაპარაკებენ და გაერკვევიან. მურმან დუმბაძესთან „რესპუბლიკელებს“ ურთიერთობა დამთავრებული გვაქვს. მოგეხსენებათ ჩვენი პარტიის წევრი იყო და გავრიცხეთ, მის დანიშვნას არცერთ დონეზე არ მივესალმებოდით, მაგრამ ეს საკითხი თავის დროზე, უჩვენოდ გადაწყვიტეს — კარგი კაციაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ახლა თავად ამ გადაწყვეტილების მიმღებებს მოუწევთ კიდევ ერთხელ დაფიქრება, რამდენად სერიოზული ადამიანია მურმან დუმბაძე.

— გაერო-ს სამიტის წინ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაწყებული დავაც შეაფასეთ. გიორგი მარგველაშვილის ამერიკაში გამგზავრება ჩაიშალა, მაგრამ პირველი პირების ქვეყნიდან გასვლის საკითხი ყოველი ვიზიტის წინ საჯაროდ განსახილველ თემად უნდა იქცეს?

— ეს საკითხი პარლამენტს არ ეხება, ამიტომ ამ თემაზე ვრცლად საუბარი მიჭირს. შეკითხვას ერთი პასუხი აქვს: საკონსტიტუციო კომისიამ უნდა დაიწყოს სასწრაფოდ მუშაობა, რომ მსგავსი საკითხები კანონმდებლობაში დეტალურად გაიწეროს. პრობლემა მიხეილ სააკაშვილის მიერ დატოვებულ კონსტიტუციაშია და არა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის.

— გარდა კანონისა, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობა რა ეტაპზე გადავა?

— პარლამენტის წევრები მთავრობასა და პრეზიდენტს შორის თანამშრომლობის, მეგობრობისა და გაგების მომხრეები ვართ. ამისთვის შევცვლით კანონს... ეტაპობრივად ყველაფერში გავერკვევით. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველაფერი კანონით გაწერილი უნდა იყოს. მაგალითად, გაეროში მიემგზავრება პრემიერი, სამიტებზე — პრეზიდენტი და ა.შ. მართალია, ეს პოლიტიკურად საკმაოდ დაბალი დონის მანიშნებელია, მაგრამ შესაძლოა მსგავსი შემთხვევები პოლიტიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც დაფიქსირდეს. საქართველოს კონსტიტუციაზე საკმაოდ მაღალი დონის იურისტები მუშაობდნენ, ამიტომ მაშინვე ვთქვით, რომ ქვეყანა ამას ინანებდა, თუმცა მაშინ გვითხრეს — არაფერი გესმით, ჩვენ ყველაფერი თქვენზე უკეთ გვესმისო. ფაქტია, რომ კონსტიტუციის ირგვლივ პრობლემები შეიქმნა.

— ორი წლის განმავლობაში ამ პრობლემების მცირე ნაწილის მოგვარება მაინც რატომ ვერ მოხერხდა?

— კონსტიტუციაში ცვლილებების განსახორციელებლად, პარლამენტის 3/4 ერთ აზრზე უნდა იდგეს. ნაციონალური მოძრაობა ჩვენ ინიციატივებს მხარს ასე იოლად არ უჭერს. თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოვიპოვეთ, ერთი წელი კი არა, შესაძლოა მომდევნო ათი წლის განმავლობაში პარლამენტის ადგილმდებარეობად ქუთაისი დარჩეს. ასე რომ, ყველაფერი ეტაპობრივად დასალაგებელია.

გადაჭრიალება ფარმაცევტულ სფეროში

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, 2014 წლის 1 სექტემბრიდან ახალი რეგულაცია ამოქმედდა, რაც აფთიაქებიდან მეორე ჯგუფის მედიკამენტების რეცეპტებით, ანუ ფორმა №3-ით გაცემას გულისხმობს. ამის შესახებ საზოგადოებამ აგვისტოში შეიტყო მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შვებულებაში იმყოფებოდა. წამლების რეცეპტებით გაცემასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში დიდი აჟიოტაჟი ატყდა, მაგრამ სხვადასხვა კურორტზე მყოფთ მარტივი ჭეშმარიტება გამორჩათ — ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გარკვეული მედიკამენტების რეცეპტებით გაცემა ევროკავშირის მოთხოვნაა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უკვე განსაზღვრა იმ წამლების სია, რომლებიც ურეცეპტოდ გაიცემა. ნუსხაში 3 000-ზე მეტი მედიკამენტია.

რატომ

გაჩნდა მედიკამენტების დეფიციტი? არსებობს წამლების „შავი ბაზრის“ საფრთხე? შეუწყო რეფორმამ ხელი მონოპოლისტების გაძლიერებას?

9 სექტემბერს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, დავით სერგეენკოს ფარმაცევტები შეხვდნენ და ის ხარვეზები გააცნეს, რაც ერთი კვირის განმავლობაში წამლების რეცეპტებით გაცემისას გამოიკვეთა. მათი მოსაზრებით, რეცეპტებით გასაცემი მედიკამენტების ნუსხიდან, გარკვეული დასახელების წამლები ურეცეპტოდ უნდა გაიცეს. სერგეენკო ფარმაცევტებს დაპირდა, რომ ამ საკითხს გადახედავს. რომელი მედიკამენტი უნდა გაიცეს ურეცეპტოდ, ჯერ არცერთ მხარეს არ დაუკონკრეტებია. მინისტრის განმარტებით, ურეცეპტოდ გასაცემ წამლებს 15 ჯგუფის 772 დასახელების მედიკამენტი დაემატა და მათი ნუსხა ზუსტდება.

არავინ კამათობს, რომ მედიკამენტები, რომლებსაც სხვადასხვა გვერდითი მოვლენა ახასიათებს, რეცეპტისა და მინიმუმ, ექიმის რეკომენდაციის გარეშე არ უნდა გაიცეს. სწორედ ამ ტიპის წამლები განეკუთვნება მეორე ჯგუფს, რომელთა შესაძენად ჯერ ექიმის კონსულტაცია დაგჭირდებათ, შემდეგ — რეცეპტი. ქრონიკული დაავადების შემთხვევაში, რეცეპტს ერთწლიანი ვადა აქვს. მინისტრის განმარტებით, რეცეპტი უბნის ან ოჯახის ექიმმა უნდა გასცეს, მაგრამ ამ ერთ კვირაში, მსხვილ სააფთიაქო ქსელებში, კომპანიების ხელმძღვანელებმა თავისი ექიმები დასვეს, რომლებიც აფთიაქში მისულ მომხმარებლებს ადგილზევე უწერენ რეცეპტებს. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რაც ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მონოპოლისტებს უკავშირდება და რაც, სასურველი იყო, იდეის ავტორებს ამ ცვლილებამდე გაეთვალისწინებინათ.

„ვერსიაში“ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მონოპოლისტებზე არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა. საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 24%-ს შპს „ავერსი“, ხოლო 23%-ს შპს „პსპ“ ფლობს. ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით, „ავერსის“ საკუთრებაში 240-მდე, ხოლო „პსპ“-ს საკუთრებაში — 170 აფთიაქია. „ავერსი“ და „პსპ“ ბაზარზე კონკურენტები არიან, მაგრამ „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ისინი პარტნიორებიც გახლავთ — შპს „მედკაპიტალის“ 50%-იან წილს „ავერსი ფარმა“, ხოლო მეორე 50%-იან წილს „პსპ ფარმა“ ფლობს. „პსპ ფარმას“ დამფუძნებელი პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი, „ავერსი ფარმას“ მფლობელები — ძმები, პაატა და ნიკოლოზ კურტანიძეები არიან. ფარმაცევტულ ბაზარზე შპს „მედკაპიტალის“ არსებობა ორი კონკურენტი კომპანიის კარტელური შეთანხმების კლასიკური ნიმუშია, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ კანონის აშკარა დარღვევად უნდა ჩაითვალოს. კანონში განსაზღვრულია, რომ კომპანია ბაზრის 40%-ზე მეტს არ უნდა ფლობდეს, მაგრამ „მედკაპიტალის“ საშუალებით, „პსპ“ და „ავერსი“ ჯამში ბაზრის 47%-ს აკონტროლებენ, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

ბაზრის მსხვილი მოთამაშეები, „პსპ“ და „ავერსი“, სხვა კომპანიის გაკოტრების მიზნით, ცალკეულ მედიკამენტებს ხელოვნურად აიაფებენ კიდეც. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „პსპ“-სა და „ავერსს“ შორის, ჯენტლმენური შეთანხმებაა, რომლითაც კონკრეტული დასახელების მედიკამენტი მხოლოდ „პსპ“-ს ან „ავერსს“ შემოაქვს. გარდა ამისა, ეს კომპანიები ბაზარს ადგილობრივი პროდუქციითაც ავსებენ, სადაც დაახლოებით 70-მდე მწარმოებელია და ამ შევსების დროს, მსხვილი მოთამაშეები დემპინგურ ფასსაც აწესებენ. ცალკეულ მედიკამენტებს კი, რომლებიც ექსკლუზიურად შემოაქვთ, მონოპოლიურად მაღალ ფასში ყიდიან.

ფარმაცევტული ბაზრის მსხვილი მოთამაშეები სააფთიაქო ქსელთან ერთად სამედიცინო კლინიკებს, სადაზღვევო და მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებსაც ფლობენ. ამ ფონზე, რა გასაკვირია, საკუთარ სააფთიაქო ქსელში, თავისივე კლინიკის ექიმებს რომ დასვამდნენ, რომლებიც მათსავე წარმოებულ მედიკამენტებს გამოუწერდნენ აფთიაქებში მისულ მომხმარებლებს. გარდა ამისა, წლების განმავლობაში, ნებისმიერი კლინიკის ექიმი, ისედაც ამა თუ იმ სააფთიაქო ქსელთან იყო „შეკრული“. ხშირ შემთხვევაში, ისინი პაციენტებს „ავერსის“ ან „პსპ“-ს ბლანკზე უწერდნენ წამლებს. ბუნებრივია, პაციენტებიც სწორედ იმ აფთიაქებში იძენდნენ მედიკამენტებს, რომელთა ლოგოც ბლანკზე იყო აღბეჭდილი. სხვათა შორის, ამ ექიმებს მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები ყოველ გაყიდულ მედიკამენტზე გარკვეულ პროცენტსაც უხდიდნენ.

კონკრეტულად რა საფრთხე და რისკი ვერ გაითვალისწინა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ? რეალურად, რა ხარვეზი გამოიკვეთა ერთი კვირის განმავლობაში, როდესაც საქართველოში მედიკამენტების რეცეპტებით გაცემასთან დაკავშირებული ცვლილებები ამოქმედდა? „ვერსიას“ „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი **ლევან კალანდაძე** ესაუბრება: **„ეს რეგულაცია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ათეული წლებია ამ სისტემაში აღრიცხვა-ანგარიშგება მოუწესრიგებელია. თვითმკურნალობის პრაქტიკა კი მნიშვნელოვანი რისკია საქართველოში, რაც თანამედროვე მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს... ამიტომ მედიკამენტების რეცეპტებით გაცემის პრაქტიკა აღსადგენი იყო. ეს ცალსახად სწორი მიდგომაა; მეორე საკითხია, რამდენად უმტკივნეულოდ განხორციელდება პროცესი, რადგან ამ კომპონენტის დანერგვის დროს, ხელისუფლების მიზანი მომხმარებელზე ზრუნვა იყო. რადგან მომხმარებელს უკვე ბევრი პრობლემა შეექმნა, ესე იგი, ცვლილება სრულფასოვნად ვერ ხორციელდება. იდეის გენერირებისა და განხორციელებისას ბევრი შეცდომა დაუშვეს. უპირველესი — პრაქტიკულად, ერთთვიან პერიოდში გამოცხადდა და დაინერგა რეცეპტების იდეა, რამაც ბევრი პრობლემა შექმნა. ვგულისხმობ რიგებს აფთიაქებში, მომხმარებლის მიერ დიდი რაოდენობის მედიკამენტების შეძენას. წამლის იმ მარაგს, რაც მოსახლეობაში დაგროვდა, ერთი ან ორწლიანი პერიოდისთვის ვერ გამოიყენებენ. გარდა ამისა, თავად მედიკამენტებზე შეიქმნა დეფიციტი და მიუხედავად იმისა, რომ რეცეპტების სისტემა 1 სექტემბერს ამოქმედდა, უკვე ერთ კვირაში, ბევრი წამალი, მათ შორის, ყოველდღიური მოხმარებისაც კი დეფიციტურია; მესამე, მნიშვნელოვანი შეცდომა ის არის, რომ ადამიანები ინფორმირებულები არ იყვნენ და 1 სექტემბრამდე, საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არ იცოდა, გაიცემოდა თუ არა, მაგალითად, ანალგინი რეცეპტით. ამ თვალსაზრისით, კომუნიკაციის სერიოზული დეფიციტი შეიქმნა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, რაც ნიშნავს, რომ რეალურად, სისტემა მოუმზადებელი შეხვდა რეფორმას“.**

ლევან კალანდაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მედიკამენტების რეცეპტებით გაცემის პროცესს, „შავი ბაზრის“ საკმაოდ სერიოზული რისკიც ახლავს. რამდენად მზადაა საზოგადოება, სახელმწიფო და თავად ფარმაცევტული სექტორი ამ რისკის წინააღმდეგ საბრძოლველად? **ლევან კალანდაძე: „ათწლეულების განმავლობაში საზოგადოება წამლის ურეცეპტოდ მიღებას იყო მიჩვეული. საქართველოში თვითმკურნალობა მაღალ დონეზეა და საზოგადოება ამაზე უარის სათქმელად შინაგანად არაა მზად. გამორიცხული არაა, ადამიანებმა „გამარტივებული“ პრაქტიკით ისარგებლონ და მედიკამენტები რეცეპტის გარეშე შეიძინონ. ამგვარი რისკის არსებობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, მცირე აფთიაქები. ცუდი არ არის ქვეყანაში არაბრენდირებული აფთიაქები, მაგრამ მათი კონტროლის მექანიზმი საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ფარმაცევტული პროდუქციის „გარევაჭრობა“ ანუ „შავი ბაზარი“ თბილისში არა, მაგრამ რეგიონებში ბიზნესის საკმაოდ პოპულარული სახეობაა, მათ შორის, ბაზრობებსა და ავტოსადგურებში. ანუ, კონტროლის მექანიზმი არ არსებობს. მნიშვნელოვანი საკითხია საბაჟოც. ოპონენტები მეტყვიან, რომ საბაჟოებზე ყველაფერი კონტროლდება და არ შეიძლება გაჩნდეს აღურიცხავი მედიკამენტი, თუმცა აქ ერთი საკითხია გასათვალისწინებელი — საბაჟოზე წამლები ცალობით კი არა, წონით აღირიცხება, რაც მედიკამენტების ყველა იმპორტიორ ფარმაცევტულ კომპანიას აძლევს საშუალებას, იმაზე გაცილებით დიდი რაოდენობის მედიკამენტი შემოიტანოს, ვიდრე ქსელში აღრიცხავს. აქამდე ამ მედიკამენტების დახლქვეშ გაყიდვის აუცილებლობა არ არსებობდა, მოთხოვნა არც საზოგადოებას ჰქონდა, მაგრამ როგორც კი რეცეპტების გამოწერის თვალსაზრისით საზოგადოებაში დისკომფორტი გაჩნდება, სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანია მედიკამენტებს „შავ ბაზარზე“ გაყიდის. არ ვამბობ, რომ ფარმაცევტული ბაზრის ლიდერთა სამეული მოიქცევა ასე, მაგრამ ეს რეალური საფრთხეა“.**

რაც შეეხება მსხვილ ფარმაცევტულ ქსელში ექიმების არსებობას, რომლებიც ადგილზე, აფთიაქებშივე წერენ რეცეპტებს. ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ეს ცალკე დამუშავებული სქემაა. უკვე ერთ კვირაშივე ასეთი სქემა საკმაოდ კარგად მოერგო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიღებულ ცვლილებას, რაც ნიშნავს, რომ 1 სექტემბრიდან დღემდე, რისკის საკმაოდ სერიოზული ფაქტები გამოვლინდა. ლევან კალანდაძის თქმით, ჯანდაცვის სისტემა ახალი რეგულაციისთვის მზად არ აღმოჩნდა და ამ მხრივ, სახელმწიფო რეგულაციაც საკმაოდ მყიფეა:

„ამ რეფორმაში უკვე ჩანს კონკრეტული ხარვეზები და ფაქტები, რომ „შავი ბაზრისა“ და დახლქვეშ მედიკამენტებით ვაჭრობის პრაქტიკა ჩემი მოგონილი არ არის. ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ვფიქრობ, პირველი ორი წელი ეს რისკი გარდაუვალია, რადგან საზოგადოებაცა და სახელმწიფოც, ამ სისტემისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა — ჩანს, ფორსირებული და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მივიღეთ“.

ვერსიანიუსი

ყვითელ ავტობუსებს ელექტროავტობუსები ჩაანაცვლებს

გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობისთვის წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერიამ 2006 წლიდან დაიწყო ავტოპარკის განახლება, ავტობუსების დიდი ნაწილი ამ დროისთვის მოძველებულია, ზაფხულში მგზავრებს უკონდენციონერობა, ზამთარში კი სიცივე უქმნის დისკომფორტს.

ამ პრობლემებს ისიც ემატება, რომ არც მიკროავტობუსები და არც „ბოგდანის“ ტიპის დიდი ზომის ავტობუსები არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციები და გარემოს დამცველები კი აცხადებენ, რომ ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზი სწორედ გაუმართავი ტრანსპორტია. ეკოლოგიურად სუფთა ელექტრო-ტრანსპორტით დედაქალაქის უზრუნველყოფაზე წინა ხელისუფლების პერიოდშიც აქტიური მსჯელობა მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ.

უახლოეს მომავალში, შესაძლოა, თბილისში ელექტროავტობუსები გამოჩდნენ. ამ საკითხზე რამდენიმე დღის წინ დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ბრუნო ბალვანერასთან შეხვედრაზეც იმსჯელა.

ნარმანიამ ხაზი გაუსვა მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე და ადაპტირებული ტრანსპორტით ჩანაცვლების აუცილებლობას, რისთვისაც, მისი თქმით, პირველ ეტაპზე საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი კვლევა. გარდა ამისა, დავით ნარმანიას თქმით, დედაქალაქს სჭირდება ახალი ხიდები და ესტაკადები, რაც ქალაქში არსებული საცობების პრობლემას მოაგვარებს.

ახალი მუნიციპალური ტრანსპორტის შემოყვანის საკითხი საკრებულოს სხდომაზე ცოტა ხნის წინ შალვა ოგბაიძემაც განიხილა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ლაპარაკია ჰიბრიდულ ან გაზსა და დიზელის საწვავზე ერთდროულად მომუშავე ავტობუსების შეძენაზე. დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია და მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც ტენდერი გამოცხადდება:

„ეს ყვითელი ავტობუსები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. დააკვირდით ამ ავტობუსების გამონაბოლქვს, მუხრუჭებს, მაშუქ ელემენტებს... არაფერი არ აქვთ წესრიგში და ნორმირებული. არადა, ტექნიკურ დათვალიერებას სისტემატურად გადიან. ამის მიუხედავად, მაინც გამოჰყავთ სამუშაოდ“.

bpn.ge

„მითხრეს, „კეზერასთან“ გადაიკვეთე, სპირტი დაივიწყე, ძროხები მწყემსეო“

როგორ მოიშორა თავიდან დავით კეზერაშვილმა „კონკურენტი“ კახელო და როგორ „შეტენეს“ ბიზნესმენს ყაჩაღობის „დანაშაული“

პატიმარი №0578

მაშინ, როცა საქართველოს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები ყვარყვარეს ციხეს დაემსგავსა და კარის დაკეტვაც კი ჭირდა, ბევრი მხოლოდ იმიტომ იხდიდა სასჯელს, რომ რომელიმე ძლიერს ამა ქვეყნისას წინ გადაურბინა. მიზეზი ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო — ვიღაცას ვიღაცა უბრალოდ არ მოეწონა, ან პირიქით, მისი ბიზნესი მოეწონა... თუ თავიდან ნაციონალური ხელისუფლება მხოლოდ ბობოლა ნაციონალების კაპრიზებს ითვალისწინებდა, მერე და მერე, ე.წ. მეორე და მესამე რანგის აქტივისტთა სურვილების გათვალისწინებაც დაიწყო და ბიზნესი რიგითებსაც ააწყობინა. განსაკუთრებული პრივილეგიებით ზონდერები სარგებლობდნენ. მათზე სხვა დროს მოგითხრობთ, ახლა კი...

გიორგი ბ. საინტერესო პატიმრების რანგში გადიოდა. იმის მიუხედავად, რომ „კახელო“ არც არაფერს ამტკიცებდა და არც საქმეების გარჩევაში ერეოდა, ჭკუას ხშირად ეკითხებოდნენ. ისიც მოკლე, მაგრამ მკაფიო პასუხებს იძლეოდა. 15 წელი ჰქონდა მისჯილი ყაჩაღობაზე, მაგრამ ამ თემაზე არასოდეს საუბრობდა და არც არავინ ეკითხებოდა. ერთი ეგ იყო, ფრჩხილების დაჭრის დროს სამედიცინო პუნქტს აკითხავდა, ექიმებს მაკრატელს ართმევდა, ფრჩხილებს იმათ თვალწინ იჭრიდა და სიმწრის ცრემლი სდიოდა. ასეთი უპროპორციო ფრჩხილები არავის ჰქონდა. ერთ დღეს, როცა ახალი ნაკადი მოიყვანეს, გიორგი სხვა პატიმრებთან ერთად ეზოში სეირნობდა. ყურადღებით შეათვალიერა ახლები, მერე ცალყბად გაიღიმა და მის გვერდით მდგომ პატიმარს №0578 სევდიანად უთხრა — შეხედე, ის სამი ჩემი „პადდელნიკია“...

რამდენიმე დღის შემდეგ ახლადმოყვანილებს უკვე პატიმარმა №0578-მა ჰკითხა, „კახელოს“ დიდი ხანია იცნობთო? მათ გაიოცეს, ვინ „კახელო“, რას გვეკითხებიო? პატიმარმა გიორგი დაანახა და უცნაური პასუხი მიიღო — სასამართლოზე ვნახეთო პირველად...

„გიორგი, ახლა მშვიდად დავსხდებით და მომიყვები, ვინ ხარ, რა გინდა აქ და რატომ ამბობენ შენი „პადდელნიკები“, რომ პირველად სასამართლოზე გნახეს“, — პატიმარი 0578 გიორგის ნარზე იჯდა და მშვიდად საუბრობდა.

„შენ რა, პროკურორი ხარ?! პრინციპში, პროკურორსაც ყველაფერი ვუთხარი, მაგრამ ვინ დაგიჯერა?! პირველად ვთქვი სასამართლოზე სრული სიმართლე, თუმცა შედეგი ვერ მივიღე“, — გაეღიმა გიორგის.

„მე დაგიჯერებ, ოღონდ ყველაფერი თავიდან ბოლომდე, დაწვრილებით მომიყევი“, — გაეცინა სტუმარს.

გიორგიმ ამოიხვნეშა, სიგარეტს მოუკიდა და დაიწყო: „ციხეში პირველად არ ვზივარ. 16 წლის ვიყავი, კაცი რომ მოვკალი. მოსაკლავი იყო, მაგრამ არ უნდა მომეკლა. ვინ ვარ მე, სიცოცხლეს რომ ვართმევ ადამიანს?! ცემა საკმარისი იქნებოდა. არავის არაფერს ვუმტკიცებ, მაგრამ დამიჯერე, ცხოვრებაში აღარავის მოვკლავ. არასრულწლოვანს ათი წელი მომცეს. ჯერ „მალალეტკებში“ ვიჯექი, მერე „ვზროსლებში“ გადმომიყვანეს და კახეთის რეგიონის მაყურებელი გავხდი. ვერ აგიხსნი, რა ხდებოდა მაშინ. ქალი გინდოდა, დარეკავდი და მოჰყავდათ. მაყუთიან ხალხს აქედან ვატერორებდით. „ვაზვრატებიც“ აქედან კეთდებოდა. რეგიონის ფული მე მებარა და ეს თანხა ხანდახან ქეშით 200 ათას ლარზე ადიოდა. მერე, რუსთავის ციხიდან „პაბეგი“ რომ აწიეს, მეც გავიქეცი. მტკვარზე გადასვლის დროს დამიჭირეს და „სროკი“ დამიმატეს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავახურო, ციხეში 16 წლისამ შემოვაბიჯე და აქედან 29 წლის გავედი...

გავედი თუ არა, მივხვდი, საქმე უნდა მეკეთებინა და კრიმინალს დიდი ჯვარი დავუსვი. ცოლი მოვიყვანე. შვილი შემეძინა, გიორგი დავარქვი... ჩვენს ოჯახში ასეა, მამაჩემსაც გიორგი ჰქვია, პაპასაც, დიდ პაპასაც, მეც... ციხეში ყოფნის დროს ერთი ტიპი იჯდა ჩემთან, ხორბლისგან სპირტის გამოხდა მასწავლა ოჯახურ პირობებში. ვცადე და გამომივიდა. ზონიდან გამოსულები, ზოგი რესტორანში მუშაობდა, ზოგი ბარებში. დავუარე და ჩემი სპირტი შევთავაზე, იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე რეალურად ღირდა. 10 ლიტრით დავიწყე და ორ კვირაში 300 ლიტრის კლიენტი მყავდა. ამოვისუნთქე, ერთ თვეში მანქანა ვიყიდე, სახლის აშენება დავიწყე. ეს 300 ლიტრი სპირტი იცი, რამდენ ფულს ტოვებდა? ასე, ნელ-ნელა ავედი ერთ ტონამდე. კვირაში ერთი ტონა სპირტის ჩაბარება პრობლემა არ იყო. ვატყობდი, მეტის პერსპექტივაც მქონდა. მამამ მითხრა, ძროხა მიყიდე, მაინც სოფლის კაცი ვარო და 30 სული ძროხა მივუყვანე ერთ დღეს. ბიზნესი გავაფართოვე და დამადგნენ ვიღაც ჰალსტუხიანი ტიპები. ქსივები გააძრეს და მანქანაში ჩამტენეს.

თბილისამდე ხმა არ გაუღიათ. მოდულის შენობაში მიმიყვანეს. მითხრეს, სპირტის „ზავოდს“ დღესვე მოშლი, რაც იშოვე შეირგე და ძროხები მწყემსეო. გამიკვირდა. ძნელია, 13 წელი ციხეში რომ ხარ, არაფრის გეშინია, ჯოჯოხეთს გადარჩი და კარაქიან ბულკზე გაზრდილი ტიპი გემუქრება. გამეღიმა და ვკითხე, ვის გადავურბინე წინ-მეთქი? ამაყად მითხრეს, „კეზერასო“. დავთანხმდი და გამომიშვეს. ბევრი რომ ვიფიქრე მივხვდი, ან სპირტი უნდა მეკეთებინა, ან კრიმინალს დავბრუნებოდი. მეორე დღეს მოდულის შენობას მივადექი. კეზერაშვილის ნახვა მინდა, ბიზნესინტერესები იკვეთება-თქო. იქაურობა კრაზანის ბუდეს დაემსგავსა. ყველა აფუსფუსდა და 15 წუთში ჩემს წინ ისევ ის ტიპები იდგნენ, რომლებმაც წინა დღეს წამიყვანეს. ვთხოვე, 300 ლიტრის გაყიდვის უფლება მომეცით, ოჯახი რომ ვარჩინო, ეს რაოდენობა კეზერას არ დაღუპავს-თქო. კატეგორიული უარი მითხრეს, დამემუქრნენ, კიდევ თუ მოხვალ აქ, ციხეში გაგიშვებთ, თვალით აღარ დაგვენახო და სპირტი დაივიწყეო.

მაინც გავაკეთე 300 ლიტრი და ჩავაბარე. მეორე მცდელობისას დამიჭირეს. გურჯაანის პოლიციაში გადამიყვანეს და წიხლით შემდგნენ. აბა, ცემით როგორ გამაკვირვებდნენ, მაგრამ, როცა მითხრეს, ყაჩაღობა უნდა აღიაროო, მივხვდი, შარში ვიყავი. ვიუარე... მერე ნამდვილი ჯოჯოხეთი დაიწყო. ფრჩხილებზე ჯერ რეზინის ჩაქუჩი მირტყეს, მერე კი ნემსები დამარჭეს, ჩაქუჩს ახლა იმ ნემსებს ურტყამდნენ. ხელებზე და ფეხებზე ფრჩხილები ჩაქუჩით და ნემსით ამაძრეს და მას შემდეგ ასე, უპროპორციოდ მეზრდება. ვიცოდი, აღიარების შემთხვევაში რა ჯოჯოხეთი მელოდა და ბოლომდე მოვითმინე, ვითიშებოდი, მაგრამ მაინც არ ვაღიარე...

სასამართლოზე გავიცანი ის „პადდელნიკები“, წინა დღეს რომ დაგანახე. მაგათზე რა მეთქმის, თავი გაიგიჟეს, ამ ბიჭს პირველად ვხედავთ, ჩვენთან ერთად არ ყოფილაო. დაზარალებულმაც თქვა, მე მხოლოდ სამი კაცი ვიცი, მეოთხე არ მინახავსო, მაგრამ გამასამართლეს და 15 წელი მომისაჯეს. სახლში 2 თვის შვილი და მეუღლე დავტოვე, ნახევრადაშენებული სახლი და...

სამართალს ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ. წეღან გითხარი, კაცს აღარ მოვკლავ- მეთქი, მაგრამ კეზერას თუ ოდესმე სადმე შევხვდი, ჩემს ფრჩხილებში გაყრილ თითოეულ ნემსს სათითაოდ ვაზღვევინებ...“

P.S. გიორგი ბ. სასჯელს დღემდე იხდის და აცხადებს, რომ დაკითხვის შემთხვევაში არამარტო იმ პირებს დაასახელებს, ვინც აწამა, არამედ მათაც, ვინც მოდულის შენობაში მიიყვანა. მისი „პადდელნიკებიც“ მზად არიან, ჩვენება მისცენ და აღიარონ, რომ გიორგი ბ. მათთან ერთად არ ყოფილა და იგი პირველად სასამართლოზე ნახეს.

კრიზისი

„ჩვენს მიწას არავის დავუთმობთ! დიდება უკრაინას!“

1200 მძევალი გათავისუფლებულია, რუსული ჯარების 70% უკრაინის საზღვრიდან გაიყვანეს

უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს განცხადებით, რუსული ჯარების დიდმა ნაწილმა უკრაინის ტერიტორია დატოვა. **„უკრაინის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ბოლო ინფორმაციით, რუსული ჯარების 70% საზღვრიდან გაიყვანეს“,** — განაცხადა პოროშენკომ მთავრობის სხდომაზე და დასძინა, რომ **„სამშვიდობო ინიციატივას კარგი პერსპექტივა აქვს“.**

მიუხედავად ამისა, უკრაინაში დღემდე დაძაბული ვითარებაა. საქართველომ ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა — მედიკამენტები დიაბეტით დაავადებულთათვის, სახარჯი მასალა დიალიზისთვის, ვაქცინები, რადგან ბავშვებს ვაქცინაცია ჩაუვარდათ და ასევე პირველადი დახმარების საგნები. ტვირთის ღირებულება, ჯამში მილიონ ლარზე მეტია. საქართველო არც პირველია და არც უკანასკნელი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც უკრაინას დახმარებას სთავაზობენ. უკრაინის კრიზისი ნომერპირველ მოვლენად იქცა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებსა და ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოზე. მიუხედავად იმისა, რომ 5 სექტემბერს მინსკში საკონტაქტო ჯგუფის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დონბასში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის პროტოკოლს, (რომელიც 5 სექტემბრის 18:00 საათიდანვე შევიდა ძალაში), ტერორისტები წერტილოვან დარტყმებს მაინც ახორციელებენ. ბოევიკებმა ზავი დაარღვიეს და რუს სამხედროებთან ერთად უკრაინული არმიის პოზიციები დაცხრილეს. ამის შესახებ უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორმა, დიმიტრი ტიმჩუკმა დაწერა აცებოოკ-ის საკუთარ გვერდზე: ბოევიკებმა ზავი დაარღვიეს. რუს სამხედროებთან ერთად უკრაინული არმიის პოზიციების დაცხრილვას ახორციელებენ. უკრაინელი სამხედროები მკაცრად იცავენ ზავის პირობებს, არ იყენებენ აქტიურ მოქმედებებს“. ტიმჩუკის ინფორმაციით, 6 სექტემბერს ბოევიკებმა სამი დასახლებული პუნქტი დაცხრილეს, ასევე ნაღმმტყორცნებიდან ისროდნენ დონეცკის აეროპორტის მიმართულებით. უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს მარიუპოლის რაიონში ჩასვლის შემდეგ კი, ცეცხლი გაუხსნეს უკრაინის არმიის ბლოკპოსტებს. უკრაინელმა სამხედროებმა საპასუხო ცეცხლის შედეგად, მოწინააღმდეგის ერთი ტანკი გაანადგურეს. **„ჩვენს მიწას არავის დავუთმობთ! დიდება უკრაინას! მარიუპოლში ჩასვლის შესახებ განვაცხადე თუ არა, აქ სროლა დაიწყო. ეგონათ, შეგვაშინებდნენ, მაგრამ მათი არავის ეშინია. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე და ღმერთი ჩვენ მხარესაა!“,** — ასე უპასუხა ბოევიკების შემოტევას პრეზიდენტმა. პოროშენკომ, მარიუპოლში, ქალაქის თავდაცვის გაძლიერების განკარგულება გასცა. უკრაინელმა სამხედროებმა შეძლეს, შეეჩერებინათ ქალაქზე მოსალოდნელი სატანკო დარტყმები, რის შედეგადაც სეპარატისტები და რუსი მეომრები ყირიმის მიმართულებით აპირებდნენ გასასვლელის უზრუნველყოფას.

ამის შემდეგ უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის, მიყოლებით, რამდენიმე სატელეფონო ზარი შედგა. 8 სექტემბერს, საუბრის შემდეგ, კრემლმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ვლადიმერ პუტინმა და პეტრო პოროშენკომ აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარების მშვიდობიანად დარეგულირების გზები განიხილეს. საუბრის კონკრეტული დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ითქვა, რომ „დიალოგი კვლავ გაგრძელდება“.

მორიგი სატელეფონო საუბარი პრეზიდენტებს შორის 10 სექტემბერს გაიმართა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, მხარეებმა აღმოსავლეთ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველყოფის საკითხები განიხილეს. ორი ქვეყნის პირველი პირები შეთანხმდნენ, რომ კონტროლზე აიყვანენ ამ საკითხებს.

„უკრაინა არ წავიდა დათმობაზე ტერორისტებსა და რუსეთთან! უკრაინამ არ დათმო თავის ინტერესები! არანაირ ფედერალიზაციაზე საუბარი არ შედგება! ვცდილობთ, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დავიცვათ, ეს ადვილი არაა, რადგან ტერორისტები მუდმივად ცდილობენ, ჩვენი სამხედროები პროვოკაციაზე წამოაგონ“.

პოროშენკო აცხადებს, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას მაქსიმალურად ცდილობს. შედეგად, მინსკში მიღწეული შეთანხმებიდან დღემდე, 1200 მძევალი გათავისუფლდა.

უცხოური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ, თუ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი შენარჩუნდება და მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაიწყება, ევროპა მზადაა, რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების გადაწყვეტილება გააუქმოს. ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი კი მიიჩნევს, რომ რუსეთისთვის უკეთესია, ახალ-ახალი სიურპრიზები არ მოაწყოს და ამით ალიანსთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს, რადგან **„ნატო-სთან თანამშრომლობა უკეთესია, ვიდრე დაპირისპირება. რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ ნატო-ს გაფართოების პოლიტიკა „რუსეთის იზოლაციაზე“ არაა გათვლილი“.**

ამერიკის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მრჩეველი ზბიგნევ ბჟეზისნკი კი მიიჩნევს, რომ დასავლეთი უკრაინას იარაღით უნდა დაეხმაროს. **„თავდაცვის მიზნით და არა იმიტომ, რომ უკრაინა რუსეთს თავს დაესხას. რაც მეტად იქნება დაცული უკრაინა, მით ძვირი დაუჯდება პუტინს თავისი პოლიტიკა და მით მეტი შანსი გაჩნდება, რუსეთის პრეზიდენტმა ამ პოლიტიკას გადახედოს. პუტინს არაფერი გამოუვა! მაგრამ, თუ მომავალშიც ეცდება ძალისმიერი მეთოდებით ახალი საბჭოთა კავშირის შექმნას, დიდ თავისტკივილს გაუჩენს ევროპას“.**

გაიზიარებს თუ არა ობამა მრჩეველი პოლიტოლოგის აზრს და გააუქმებს თუ არა რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების გადაწყვეტილებას, პუტინის ქმედებებზეა დამოკიდებული, უფრო სწორად იმაზე, პოლიტიკური რეალობის სწორად აღქმასა და უტოპიურ ამბიციებს შორის, როგორ არჩევანს გააკეთებს ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი.

ნინო ლურსმანაშვილი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

130 ათასი ლარით გაზრდილი პრემიები და „შეუსრულებელი“ ბიუჯეტი

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიანი ანგარიშის მიხედვით, რომელიც მთავრობამ პარლამენტში უკვე წარადგინა და კომიტეტებმა განხილვა დაიწყეს, შემოსულობების გეგმა ვერ შესრულდა. შემოსულობების ნაწილში ყველაზე დიდი პრობლემა გრანტებში, სხვა შემოსავლებში, ფინანსური აქტივების კლებასა და ვალდებულებების ზრდაშია. დოკუმენტის თანახმად, შემოსულობებს 155 000 000 ლარი დააკლდა, გრანტებს – 53 000 000, სხვა შემოსავლებს – 33 000 000, ფინანსურ აქტივებს – 6 000 000, ვალდებულებების ზრდას, ანუ სესხებს – 176 000 000 ლარი. ვალდებულებები იმიტომ ვერ შესრულდა, რომ საგარეო წყაროებიდან საკმარისი რაოდენობის ფინანსები ვერ მოიზიდეს, რაც საშინაო, ფასიან ქაღალდებთან შედარებით, გაცილებით იაფი სესხია. სპეციალისტების გაანგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიან შესრულებას დაახლოებით 225 000 000 ლარი დააკლდა. საპარლამენტო კომიტეტებში 2014 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგების განხილვა 12 სექტემბერს დასრულდება, რასაც საბოლოოდ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი შეაჯამებს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიანი შედეგების განხილვა პარლამენტში სამშაბათს, 9 სექტემბერს, აგრარული და გარემოს დაცვის კომიტეტებმა დაიწყეს. მთავრობის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ორივე კომიტეტმა უარყოფითად შეაფასა და კენჭისყრაზე მხარი არ დაუჭირა. აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეს, გიგლა აგულაშვილს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს, მაგრამ მისი თქმით, პრობლემა ხარჯვითი ნაწილია. კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ სამინისტროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას ვერ ითვისებენ. კომიტეტის სხდომაზე, აგულაშვილმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წარმომადგენლები გააკრიტიკა და დაინტერესდა, სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობისთვის, ბიუჯეტში გათვალისწინებული 15 096 00 ლარიდან, მხოლოდ 7 713 000 ლარი რატომ აითვისეს. კომიტეტის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ათვისებული თანხა გეგმის შესრულების 51.2%-ია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, აგრარულ კომიტეტში წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წლის ექვსი თვის დაზუსტებული გეგმით, უწყებას 169 940 000 ლარი გამოეყო. ფაქტობრივი შესრულება 145 623 000 ლარია, რაც დაგეგმილის 85.8%-ია. სამინისტროს ინფორმაციით, 100%-ით შეღავათიანი აგროკრედიტის გეგმა შესრულდა, რადგან გეგმით გათვალისწინებული იყო 58 800 000 ლარი, საიდანაც 58 800 000 ლარია ათვისებული. 100%-ით შესრულდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელისშემწყობი ღონისძიებები, რისთვისაც გეგმით გათვალისწინებული 50 000 000 ლარიდან, მთლიანი თანხაა ათვისებული.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიანი ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ვერც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აითვისა. შესრულების ანგარიშის მიხედვით, დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის პროგრამისთვის ექვსი თვის დაზუსტებული გეგმა 6 509 600 ლარი იყო, საიდანაც მხოლოდ 2 558 800 ლარი დაიხარჯა, რაც შესრულების 39.9%-ია. ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის, სატყეო სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის პროგრამის განხორციელების მიზნით, მიმდინარე წლის ექვს თვეში 5 068 200 ლარი გამოყვეს, საიდანაც 3 676 200 ლარი დაიხარჯა, რაც შესრულების 72.5%-ია. ექვსი თვის ბიუჯეტი 91.8%-ით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურმა შეასრულა, 89.4%-ით – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ.

პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გია ცაგარეიშვილმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა სამინისტროს წარმომადგენლები და კატეგორიულად მოითხოვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები უწყებამ სრულად აითვისოს. „ვერსიასთან“ საუბრისას **გია ცაგარეიშვილმა** აღნიშნა, რომ კომიტეტის სხდომაზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებისგან ვერ მოისმინა კონკრეტული პასუხი, რატომ ვერ აითვისა უწყებამ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა: **„ექვსი თვის განმავლობაში, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაახლოებით 67%-ით შესრულდა. მართალია, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან პასუხი ვერ მოვისმინე, მაგრამ მიმაჩნია, რომ მენეჯმენტი, რომელიც ამ უწყებას მართავდა, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზის გამო გაათავისუფლეს. ანგარიშში ასახულია 2014 წლის ექვსი თვის შესრულება, რომელიც 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდს მოიცავს და ნამდვილად არ ეხება ახალ მენეჯმენტს, რომელიც სამინისტროს მმართველობაში 20 ივლისის შემდეგ შევიდა. უკვე ვესაუბრე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს, რომლებმაც მითხრეს, რომ ბოლო თვეში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 15%-ით გაიზარდა და სხვადასხვა სამინისტროის მიერ თანხების ათვისება 80%-ს გასცდა. გარემოს დაცვის სამინისტროს წინაშე უზარმაზარი გამოწვევებია, საქართველოში უზარმაზარი ეკოლოგიური პრობლემებია, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. ნურავის დაავიწყდება, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ და იქ მთელი თავი გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარებას ეძღვნება. ამ ფონზე, როდესაც მწირი შესაძლებლობებიც კი ვერ იხარჯება, კომიტეტის თავმჯდომარეს, თუ ის ნორმალურია და იოტისოდენა პასუხისმგებლობით მაინც გამოირჩევა, ნამდვილად უნდა აწუხებდეს ეს პრობლემები. შესაბამისად, ჩემი კრიტიკული შენიშვნაც სწორედ ამან განაპირობა“.**

სპეციალისტების მოსაზრებით, სხვადასხვა სამინისტროები ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს ჩაშლილი ტენდერების გამო ვერ ასრულებენ. მარტივად რომ ავხსნათ, უწყებები საბიუჯეტო სახსრებს იმიტომ ვერ ხარჯავენ, რომ მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სხვადასხვა კომპანიები ვერ ან არ იმარჯვებენ. პრობლემებია გამარტივებულ ტენდერებშიც, რაც ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ელექტრონულ შესყიდვებში გამარჯვებას გულისხმობს. ტენდერების ჩაშლას სხვადასხვა მიზეზი აქვს, ხშირად ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილე კომპანიების მიერ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს უკავშირდება. თუმცა სპეციალისტების განმარტებით, ელექტრონული შესყიდვების შესახებ კანონში უამრავი ხარვეზია, რაც ზოგადად, ტენდერების ხარისხიანად ჩატარებას ხელს უშლის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, მთავრობა უკვე ამზადებს ცვლილებების პროექტს, რომელიც ელექტრონული შესყიდვების შესახებ კანონში უნდა შევიდეს. კანონპროექტის პაკეტს საკანონმდებლო ორგანოში სექტემბრის ბოლოს ელოდებიან, რაც სამომავლოდ საკანონმდებლო ხარვეზებს გამოასწორებს.

გია ცაგარეიშვილი: **„ჩვენს უწყებაში ყველაზე ნაკლები თანხა, დაახლოებით 40%-მდე, დაცული ტერიტორიების სააგენტომ აითვისა, მაგრამ როგორც მითხრეს, გარკვეული ტენდერები უკვე გამოცხადდა, სამუშაოების ნაწილიც შესრულდა და ახლა ამ სამუშაოების ხარისხი მოწმდება. ხონის რაიონის სოფელ გორდის ტერიტორიაზე, ოკაცეს კანიონი უკვე გაიხსნა, მაგრამ ამ კანიონთან დაკავშირებით, გადაულახავი პრობლემები გვქონდა. ოკაცეს კანიონთან დაკავშირებით, ტენდერი 2012 წელს, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში გამოცხადდა და მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ უხარისხოდ. მეტიც, ეს კონტრაქტი ჩაშლის პირამდეც კი მივიდა და იძულებულები გავხდით, პროცესში სამართალდამცველებიც ჩაგვერთო. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ თანხების არგახარჯვა ოკაცეს კანიონში ასათვისებელ თანხასაც უკავშირდება, რადგან ამ პროექტისთვის დაახლოებით, 3 000 000 ლარზე მეტი იყო გამოყოფილი. არ გამოვრიცხავ, სხვა უწყებებშიც ანალოგიური პრობლემებია, მაგრამ ამის შესახებ დეტალურად ვერაფერს გეტყვით“.**

უმცირესობის ფორმატში, საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიანი ანგარიში ქუთაისის პარლამენტში ხუთშაბათს, 11 სექტემბერს განიხილეს. „ვერსიას“ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, **ზურაბ მელიქიშვილი** ესაუბრება:

„2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსთვიანი ანგარიშში უამრავი პრობლემაა, კითხვებიც შესაბამისი გვქონდა, თუმცა მთავრობის წარმომადგენლებმა ნამდვილად არაადეკვატური პასუხები გაგვცეს. პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობაა ფინანსთა მინისტრის მოადგილის პასუხი, როდესაც კონკრეტულ კითხვაზე გვიპასუხა, რომ ამა თუ იმ სამინისტროს შესახებ ინფორმაცია არ იცის, ეს საკითხი არ შეუსწავლია და ასე შემდეგ. ჩვენ დავსვით კითხვა, რატომ შეექმნა პრობლემა ექვსი თვის განმავლობაში, მინიმალიზირებულად დაგეგმილ ბიუჯეტს შესრულებასა და ხარჯვით ნაწილში. ეს ნიშნავს, რომ დარჩენილ პერიოდში, დიდი ოდენობით ხარჯის გაწევა სერიოზულ დარტყმას მიაყენებს საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის კურსს“.

„ვერსიის“ კითხვაზე, რატომ შეიქმნა პრობლემები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯვით ნაწილში და რატომ ვერ მოახერხეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ათვისება, ზურაბ მელიქიშვილმა უპასუხა, რომ მიზეზი ბიუჯეტის არასწორი დაგეგმარებაა:

„პრობლემები იმიტომ შეიქმნა, რომ მთავრობა შეშინებულია და ამ შიშის მაგალითად გასული, 2013 წელი აქვთ, როდესაც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 700 000 000 ლარით, ხოლო საგადასახადო შემოსავლები — 633 000 000 ლარით გაირღვა. 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას, საგადასახადო შემოსავლების ნაწილი 100 000 000 ლარით ნაკლები იყო, ვიდრე 2013 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში დაგეგმეს, ანუ 6 820 000 000 ლარით დაგეგმეს. ახლა ამბობენ, რომ საგადასახადო გეგმას ასრულებენ, თუმცა ამის საპირწონედ, ბიუჯეტის სხვა ხარჯების შესავსებად, გაზარდეს დეფიციტი და აიღეს 1 მილიარდი ლარი უცხოური საფინანსო წყაროებიდან, ხოლო შიდა ვალის სახით, 600 000 000 ლარი — ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან. თავისთავად, ეს არასწორი ნაბიჯი იყო, რადგან წარმოიდგინეთ, ბანკიდან იღებთ ვალს და ობლიგაციების სახით, ისევ ბანკს უბრუნებთ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას მუდმივი შიში აქვს, შეასრულებს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს და ამის გამო უამრავ შეცდომას უშვებენ“.

ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, მთავრობა პასუხისმგებელია, როგორც ბიუჯეტის დაგეგმარებაზე, ასევე მის შესრულებასა და ეფექტურ ხარჯვაზე. ამის ნაცვლად, ხელისუფლება მუდმივად წინა ხელისუფლებაზე გადაბრალების რეჟიმშია. მისი თქმით, პარლამენტში წარმოდგენილი ექვსთვიანი შესრულების ანგარიშის მიხედვით, შემოსულობებისა და ხარჯვით ნაწილში პრობლემები იმიტომაც შეიქმნა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, საკმაოდ მაღალი ხელფასები და პრემიები გაიცა. ზურა მელიქიშვილის განმარტებით, 2013 წლის პირველ ექვს თვეში, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 60 000 000 ლარით მეტი ხელფასი და პრემია გაიცა, ხოლო 2014 წელს — 130 000 000 ლარით მეტი.

ვერსიანიუსი

გერმანიაში გარდაცვლილი ზუგდიდელის ოჯახი მთავრობას მიმართავს

37 წლის ზაზა კულუა გერმანიის ქალაქ ფრეიბურგში, 4 სექტემბერს გარდაიცვალა და მისი გადმოსვენება დღემდე ვერ ხერხდება.

გარდაცვლილის მეუღლის, მაკა რიგვავას განცხადებით, გერმანიაში ტუპერკულოზის დიაგნოზით, სამკურნალოდ წასული ზაზა კულუას გადმოსვენებისთვის 3500 ევროა საჭირო, რის შეგროვებასაც ოჯახი ვერ ახერხებს.

კულუას გერმანიაში სამკურნალოდ გასაგზავნად კულუებმა საცხოვრებელი სახლიც კი დაალომბარდეს.

ზაზა კულუას ცხედარი ამჟამად ქალაქ ფრეიბურგის პოსპიტალ „უნიკლინიკის“ პროზექტურაშია მოთავსებული და, თუ გადმოსვენება ვერ მოხერხდა, ორ დღეში დაკრძალავენ. სწორედ ეს ცნობა მიიღო ოჯახმა კლინიკის იურისტისგან, რომელიც კულუებს თარჯიმნის დახმარებით დაუკავშირდა.

გარდაცვლილის ოჯახი და ახლობლები დახმარებას მთავრობას, კონკრეტულად კი საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვენ.

„პირველი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					1			3
	5					2	1	
		9		5	4	8		
	2		7				3	
		6		3		1		
	4				6		8	
		5	3	1		7		
	6	2					5	
7			6					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		3	8					6
1						3		
8	7				9			
9				6			1	
	8	2				7	6	
	1			7				2
			2				5	3
		4						9
2					6	8		

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	8		6	3				
6		4	7	2				8
4			2				8	
	1		9	7	3		4	
	6				5			3
1				5	7	2		9
				6	9		5	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1					9		
	7	6			5	4	3	
			3				8	
		9		2	1	5		
1	2			6			4	7
		5	4	3		2		
	4				3			
	9	1	8			7	2	
		7					9	

ყველაზე კალორიული სამზარეულო გამოავლინეს

მსოფლიოს ქვეყნების ტრადიციული სამზარეულოები ერთმანეთისგან მრავალფეროვნებითა და განუმეორებლობით განსხვავდება. თუმცა, საკითხავია, ყველა მათგანი სასარგებლოა თუ არა? ბრიტანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ, რომელი ქვეყნის კერძებია ყველაზე კალორიული და შედეგად, ყველაზე მავნე აღნაგობისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტ კალორიას ინდური სამზარეულო შეიცავს — ყოველი აქაური კერძი იმაზე მეტად ცხიმიანია, ვიდრე ეს რეკომენდებულია და ეს არა მხოლოდ ხორცისგან მომზადებულ კერძებს ან პოპულარულ კარის ეხება. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ინდური პურიც კი — ნაანი უფრო კალორიულია, ვიდრე ქათმისგან მომზადებული ინდური კერძები. როგორც გაირკვა, აქაური სამზარეულოს კალორიულობის მიზეზი ისაა, რომ მომზადებისას უხვად მოიხმარენ როგორც მცენარეულ ცხიმს, ასევე ერბოს. ასე რომ, ინდური კერძების სიყვარული ბევრს შეიძლება წონაში საკმაოდ მომატების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და დიაბეტის ფასად დაუჯდეს.

თვალის ფერი და ადამიანის ხასიათი

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები ხელჩასაჭიდს ვერაფერს პოულობდნენ იმის გასარკვევად, რა გავლენას ახდენს თვალის ფერი ადამიანის ხასიათსა და მის უნარზე. ამჯერად ამერიკელმა სწავლულებმა მოახერხეს ამ საკითხის გამოკვლევა და სენსაციური ინფორმაციაც გამოაქვეყნეს: თურმე თანამედროვე მსოფლიოში თვალები ადამიანის ინტელექტუალური უნარების მაჩვენებელია. ცისფერი თვალების მქონენი უფრო შრომისუნარიანები ყოფილან, ვიდრე მუქი ფერის თვალებით დაბადებული ადამიანები. ცისფერთვალებიანები მეტ წარმატებას აღწევენ აკადემიური განათლების მიღებისას, ვიდრე დანარჩენები. მათ თურმე უფრო მეტად აქვთ განვითარებული სტრატეგიული აზროვნება და სპორტის ისეთ სახეობასაც კი, როგორიც გოლფია, უკეთ თამაშობენ. თუმცა თავად სწავლულებს გაუჭირდათ ამ დასკვნებისთვის დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა მოეძებნათ. სხვათა შორის, ფსიქოლოგები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ადამიანის თვალის ფერსა და მის ხასიათს შორის კავშირი არსებობს. მათი მოსაზრებით, ღია ფერის (ნაცრისფერი, ცისფერი, ლურჯი) თვალის მქონეებს არ ეშინიათ გარშემომყოფთა წინააღმდეგობის, ამიტომ საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებულები არიან. ასეთ პიროვნებებს მიდრეკილება აქვთ ავანტიურისადმი. ნაცრისფერ-ყავისფერ-მწვანეთვალებიანი ადამიანები უყურადღებოები და არამდგრადები არიან, თუმცა, ამავე დროს მგრძნობიარე ხასიათი აქვთ. მუქი ფერის თვალების მქონეები კი ჩვეულებრივ მომხიბვლელები არიან და შეუძლიათ მოსაუბრის „მიზიდვა“. მათ კარგი მეხსიერება აქვთ და მოვლენების გაანალიზებაც შესანიშნავად შეუძლიათ.

გოგონა შეუჩერებლად იცინის

ჩინელი ნევროლოგები აპირებენ, ტვინის სკანირება გაუკეთონ გოგონას, რომელიც უკვე 12 წელია შეუჩერებლად იცინის. სიუ პინჰუეიმ სიცილი 8 თვის ასაკში დაიწყო მას შემდეგ, რაც ციება შეეყარა. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მშობლები ამაოდ ცდილობდნენ ბავშვის ალაპარაკებას — პასუხად მხოლოდ უკონტროლო სიცილი ესმოდათ. სიუს ოჯახი მთელ თანხას გოგონას მკურნალობაში ხარჯავს, იღებენ კრედიტებს და ცდილობენ, ქალიშვილს როგორმე უშველონ, მაგრამ 12 წლის განმავლობაში ექიმებმა სიუს განსაკურნად ქმედითი მეთოდი ვერ გამონახეს. ამჯერად ჩინელი მედიკოსები იმედოვნებენ, რომ ტვინის სკანირების შემდეგ დაადგენენ, რითაა გამოწვეული ეს შეუჩერებელი სიცილი და გოგონას მდგომარეობას რადიკალურად შეცვლიან.

წ�ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	8	3	2	5	1	9	6	4
1	6	4	9	3	7	2	8	5
5	9	2	8	4	6	3	1	7
9	3	5	6	2	4	1	7	8
8	2	7	5	1	3	4	9	6
4	1	6	7	9	8	5	3	2
6	4	1	3	8	2	7	5	9
3	7	9	4	6	5	8	2	1
2	5	8	1	7	9	6	4	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	3	7	9	2	6	1	8	5
2	9	1	7	5	8	6	4	3
8	6	5	4	3	1	2	9	7
7	5	6	1	9	4	8	3	2
3	4	2	8	7	5	9	6	1
1	8	9	2	6	3	7	5	4
9	2	8	5	4	7	3	1	6
6	1	4	3	8	2	5	7	9
5	7	3	6	1	9	4	2	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	4	6	5	1	3	8	2	9
8	5	3	2	9	7	6	4	1
2	1	9	8	4	6	3	7	5
3	2	4	6	8	1	9	5	7
1	9	8	7	5	4	2	6	3
6	7	5	3	2	9	4	1	8
9	8	2	4	7	5	1	3	6
5	6	1	9	3	2	7	8	4
4	3	7	1	6	8	5	9	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	2	7	9	4	6	5	3	1
1	6	9	2	3	5	8	7	4
5	4	3	8	7	1	9	2	6
2	3	6	7	5	9	4	1	8
4	9	1	6	2	8	7	5	3
7	5	8	4	1	3	6	9	2
3	7	5	1	8	4	2	6	9
9	1	4	5	6	2	3	8	7
6	8	2	3	9	7	1	4	5

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	3	5	7	4	8	2	1	9
1	2	4	9	6	5	8	7	3
9	8	7	3	1	2	6	5	4
4	1	9	6	5	3	7	2	8
8	7	3	4	2	1	9	6	5
5	6	2	8	9	7	4	3	1
3	9	8	5	7	6	1	4	2
2	5	6	1	8	4	3	9	7
7	4	1	2	3	9	5	8	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	7	1	6	9	8	5	2	4
6	5	9	7	4	2	3	1	8
2	8	4	3	1	5	9	7	6
8	6	7	2	5	9	4	3	1
1	4	5	8	3	7	6	9	2
9	2	3	4	6	1	8	5	7
7	3	2	5	8	6	1	4	9
5	1	6	9	2	4	7	8	3
4	9	8	1	7	3	2	6	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	8	7	4	3	1	9	6	2
1	6	3	5	2	9	8	7	4
2	4	9	8	7	6	5	3	1
9	3	4	2	6	8	1	5	7
8	7	2	1	5	4	6	9	3
6	5	1	3	9	7	4	2	8
4	2	6	7	1	5	3	8	9
7	9	8	6	4	3	2	1	5
3	1	5	9	8	2	7	4	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	4	8	7	5	9	3	2	1
3	5	7	4	2	1	9	6	8
2	1	9	8	6	3	7	5	4
1	3	6	2	9	5	4	8	7
5	7	4	6	3	8	2	1	9
9	8	2	1	4	7	6	3	5
4	2	5	9	1	6	8	7	3
8	6	3	5	7	4	1	9	2
7	9	1	3	8	2	5	4	6

მე-10 გვერდი: 1. კორდონი; 2. ოროგენეზი; 3. დებრეცენი; 4. ნული; 5. შარბათი; 6. აფტერშოკი; 7. ბატატი; 8. თეკლე; 9. კომბალი; 10. ვაზარი; 11. ჰაბანერა; 12. მიიო; 13. სტატიკა; 14. ამალა; 15. ქშატრიები; 16. ჰეროლდი; 17. ჰევეა; 18. ნაცარი; 19. ჰექტარი; 20 ბეზე; 21. იშიასი; 22. ლოა; 23. შიმშა; 24. ზანა; 25. აკაცია; 26. „პსპ“; 27. ბაქია; 28. შპიცი; 29. რეა; 30. ირინა; 31. ლოია; 32. „აელიტა“; 33. აიაჩო; 34. ტოლკიენი; 35. კუპრი; 36. იპრი; 37. ქსი; 38. ლაილაი; 39. ლუკ; 40. ურალი; 41. პალპაცია; 42. ირაო; 43. პულკე; 44. პაპა; 45. ცე; 46. დეილი; 47. დრიუ; 48. „ბმვ“; 49. ოე; 50. ბეკონი; 51. დუჩე; 52. მარე; 53. აბაი; 54. იონიკა; 55. იამამოტო; 56. ლი; 57. „ძმა“; 58. ვეა; 59. ელია; 60. მია; 61. სპა; 62. შპილმანი.

მე-12 გვერდი: 1. ჯომოლუნგმა; 2. ფლირტი; 3. ჯოკერი; 4. მირაჟი; 5. კრიკი; 6. ლოკატორი; 7. რარიტეტი; 8. კრიჟი; 9. ირტიში; 10. ივენთი; 11. კორტი; 12. უზალთუნი; 13. ჯინი; 14. აგრა; 15. ტატუ; 16. გვიან; 17. ვირი; 18. ბზე; 19. როტა; 20. როქი; 21. თალიბანი; 22. აარე; 23. ვნება; 24. მაინი; 25. ალი; 26. ლეონკავალო; 27. ბრიგანტინი; 28. ნაია; 29. ავარუა; 30. არილი; 31. ლემა; 32. ირმა; 33. ძალოსნობა; 34. ურარტუ; 35. პოლიტიკანი; 36. სუარესი; 37. მამბა; 38. რენძიუ; 39. ექიმი; 40. მასკარადი; 41. ლია; 42. აპარტეიდი; 43. მუაუნა; 44. დონორი; 45. ბუნაგი; 46. ბებია; 47. კირილე; 48. ვატმანი; 49. აშოტი; 50. „ტოსკა“; 51. პანდა; 52. ნადი; 53. ქარიბდა; 54. უზი; 55. ლენა; 56. გუშინ; 57. კრინი; 58. რიონი; 59. ანტრე; 60. უმალ; 61. კოროზია; 62. პორთოსი; 63. არია; 64. თაფლი; 65. ამტი; 66. ნუ; 67. ირი; 68. ამა; 69. იან; 70. „ორბიტი“; 71. იაკი; 72. კაკაპო; 73. კარამბოლი; 74. იალი; 75. ჩია; 76. აკრი; 77. ბე; 78. მენელაე.

1.იურმალა 2014-ის გამარჯვებული
2. ქართული ხალხური სიმღერა
3. გეოგრაფიული რუკების კრებული
4.ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
5. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგ.
6. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
7.ჩრდილოამერიკული გარეული ხარი
8. ფეხბურთელი ჟეინ...
9. ვერცხლისწყლის შენაღნობი მეტალთან
10. ქართველი კომპოზიტორი
11. ცალკეული მოძრაობა სპორტში
12. თბილისის ერთ-ერთი უბანი
13. მედიცხმარებული ბალახოვანი მცენარე
14. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი
15. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
16. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
17. ქალაქი საფრანგეთში
18. მეცნიერული კვლევის მეთოდი
19. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
20. სკოლის „ოთახი“
21.სახალხო პოეტი-მომღერალი შუაზიაში
22. კანონის გაუქმება
23. აბელის და კაინის დედა
24. საქართველოს უდიდესი ტბა
25. ტიბეტური ხარი
26. შიკრიკი ძველ ქართულში
27. ნიტრატიანი მინერალების ძვსსხელწ.
28. ... კარენინა
29.შლამის თევზი
30. ჩქარი ტემპი მუსიკაში
31.მრავალადგილიანი სამგზავრო ტრანსპორტი
32.სასჯელის შემსუბუქება ან გაუქმება
33. თურქული ტელესერიალი
34. სოფელი ხარაგაულის რაიონში
35. ფილიპინების დედაქალაქი
36.ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი
37.ციხე „გრაფ მონტეკრისტოში“
38. გარიჟრაჟის ქალღ. ბერძნ. მითოლოგ.
39. თურქეთის ფულის ერთეული
40. ამერიკელი ტოპ-მოდელი
41.ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი
42. იგივეა, რაც ძმორი
43. სანელებელი მცენარე
44.გარდაცვლილის სული ჩინურ მითოლოგ
45. სასიგნალო ტივტივა წყალზე
46. ქართული ანბანის V ასო
47. მეწისქვილე „ოთარაანთ ქვრივში“
48.სამკურნალო მცენარე
49. ნახატებიანი გამოცანა
50. უტოტო ხე
51.ბრილანკას მეორე სახელწოდება
52. ერთგვარი სასმისი, კათხა
53. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
54.წარსულში ცნობ. ესტ. კალათბურთელი
55. ცხოვრების ჯანსაღი წესი
56. მდინარე აზიაში
57.ერთ-ერთი ბალეარის კუნძულებში
58. წმინდანის გამოსასულება
59. მიკი-მაუსის ძაღლი
60. დიდი ზომის მღრღნელი
61. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.

სათამაშო სტრესის მოსახსნელად

როცა შინ თუ სამსახურში, განზრახ თუ შემთხვევით განწყობას გვიფუჭებენ, ამ დროს ყველაზე აუცილებელი, ალბათ, „ორთქლის გამოშვებაა“. როგორ მოვიქცეთ — ჯავრი სხვაზე ვიყაროთ თუ „დამნაშავეს“ სამაგიერო გადავუხადოთ? ამ მდგომარეობიდან გამოსავალი იაპონელმა ფანტაზიორმა-გამომგონებელმა, მაკიკო იოშიდამ მოიფიქრა. ეს საშინელი „თავები“, რომლებიც თითქოს ჯუჯუჯებს მოკვეთეს, სინამდვილეში სათამაშოა, რომელსაც Cao maru stress balls ჰქვია. მასალა, რომელიც პლასტილინივითაა და შეგიძლიათ ნებისმიერი ფორმა მისცეთ, კარგად გაგართობთ სხვადასხვაგვარი მიმიკის შექმნით და სტრესს ნამდვილად მოგიხსნით. ეს უჩვეულო სათამაშო დროს შეუმჩნევლად გაგაყვანინებთ და მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ თქვენი სიბრაზიდან აღარაფერი დარჩა. სხვაზე ჯავრის ამოყრაც აღარ გახდება საჭირო. სათამაშო 130 დოლარი ღირს და ინტერნეტ-მაღაზიაში იყიდება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ცხოვრების აქტიური წესისთვის წინდას ჩუქნიან

ნიუ იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე ახალი ავტომატი დადგეს, რომლის საშუალებითაც სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ცნობილი ბრენდის — Nike-ის საფირმო პროდუქციის შეძენაა შესაძლებელი. საფასურად ავტომატი ქულებს იღებს, რომელიც შეძენის დღეს დააგროვა ადამიანმა, ქულები კი სპეციალური ფიტნეს-სამაჯურის მეშვეობით იწერება გავლილი ნაბიჯების მიხედვით. ამგვარად, შოპინგის წინ, მყიდველს მოუწევს „ოფლისღვრა“, სასურველი ნივთის შესაძენად საჭირო ქულები რომ დააგროვოს. მაგალითად, ყველაზე იაფი ღირს წინდა — 500 ქულა, 12 ათასი ქულით კი SportWatch-ის შეძენასაც შეძლებთ. Nike-ის ავტომატი მუდმივად გადაადგილდება ქალაქში და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია.

სპორტდარბაზში ვარჯიშს კიბეზე სიარული შეცვლის



ამერიკელი სწავლულები ორეგონის უნივერსიტეტიდან აცხადებენ, რომ ლიფტით სარგებლობაზე უარის თქმა და კიბით სარგებლობა სპორტდარბაზში გატარებული დროის ტოლფასია. მკვლევარები აცხადებენ, რომ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლით ნებისმიერი ასაკის ადამიანი ფიზიკურად ვარჯიშობს და სხეულს იმკვრივებს. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანებისთვის, ვინც მთელი დღე ოფისში ზის. მეცნიერები ადამიანებს ურჩევენ, ბევრი იმოძრაონ. მათი თქმით, სპორტდარბაზში ვარჯიშისთვის ბევრს ფინანსური შესაძლებლობა ან დრო არ აქვს, ამიტომ მსურველებს მარტივ გზას სთავაზობენ — სუფთა ჰაერზე ისეირნეთ, სახლამდე დარჩენილი ორი გაჩერება მაინც ფეხით გაიარეთ და მობილურ ტელეფონზე საუბრისას ერთ ადგილას ნუ გაჩერდებით. ეს ხერხი ეფექტურიც არის და არც თანხა დაგეხარჯებათ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	6			3	9			4
			2			6		
1			4		5			
9						7		2
8			9		3			5
3		5						8
			6		4			3
		4			2			
5			3	7			8	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7				5		1		2
		4		1		7	6	
						8		
	9	3	4					7
8					2	5	1	
		2						
	6	7		2		3		
9		5		7				6

ᲠᲗᲣᲚᲘ

		9		4	5			
			3					9
4	1	7		8				
9						1		7
	3	5				9	8	
2		1						5
				3		7	2	6
8					6			
			4	9		8		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3								8
		2	8			6	5	
		8		5				7
		4	7				6	
	3	6		4		5	1	
	1				6	7		
6				8		9		
	8	1			4	3		
2								4

ჩიფსი პატარების ცვინს ვნეჭს

მკვლევარებმა, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, დაამტკიცეს, რომ ჩიფსი განსაკუთრებით მავნეა 3-4 წლის ბავშვებისთვის — ამ ასაკობრივ შუალედში თავის ტვინი ვითარდება და ნებისმიერი მავნე საკვები უარყოფითად მოქმედებს ბავშვის კოგნიტიურ პროცესებზე მომავალში. ჩიფსი შეიცავს ნატრიუმის გლუტამატს (გემოს გამაძალიერებელს), რაც შეჩვევას იწვევს; ხსენებულ პროდუქტში დიდი რაოდენობითაა ცხიმი და კანცეროგენი, რაც ზეთის წვისას წარმოიქმნება — შეჩვევა და მაღალი კალორიულობა კი სიმსუქნესა და შაქრიანი დიაბეტს უდებს სათავეს. სწავლულებმა საკუთარი თეორია დაამტკიცეს კვლევებით, რომელშიც 3-4 წლის ბავშვები მონაწილეობდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩიფსების რეგულარული მოხმარებისას აღქმა და ინფორმაციის დამუშავების სიჩქარე ქვეითდება.

ᲘᲡᲔᲘᲠᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲣᲙᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲗᲐᲠᲗᲔᲚᲘ

15-წუთიანი სეირნობა ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, — ამტკიცებენ ტაივანელი სწავლულები. მათი აზრით, ორგანიზმი რომ ტონუსში იყოს, სულაც არ არის აუცილებელი, თავი ყოველდღიური 5-კილომეტრიანი გარბენით დაიტანჯოთ ან საათობით აუზში იცუროთ. ტაივანის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ვინც დღეში მხოლოდ მეოთხედ საათს უთმობს ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, უფრო დიდხანს ცოცხლობს. სტატისტიკამ ასევე აჩვენა, რომ სიმსივნით დაავადებულთა შორის ლეტალური შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ადამიანები მეტს იმოძრავებდნენ. სწავლულებმა დაასკვნეს: დღეში 15-წუთიან დატვირთვას შესამჩნევი სარგებელი მოაქვს ჯანმრთელობისთვის.



თვალის ფერის შეცვლა ისწავლეს

ამერიკელი მეცნიერი გრეგ გომერი ზუსტად ათი წლის განმავლობაში მუშაობდა თვალის ფერის შეცვლის ტექნოლოგიაზე და წარმატებასაც მიაღწია — ახლა მხოლოდ 20 წამში, ლაზერის მეშვეობით, ყავისფერი თვალის მქონე ადამიანი ცისფერთვალა გახდება. საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ მუქი ფერის თვალში დომინირებს მუქი პიგმენტი მელანინი. დოქტორი ოპერაციისას თვალის გარსის ზედაპირიდან სწორედ ამ პიგმენტის ფენას აცლის და შედეგად იცვლება თვალის ფერიც, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი შეუქცევადია — ცვლილება მხოლოდ ერთ მხარეს ხდება და ოპერაციის შემდეგ თვალის ადრინდელი ფერის დაბრუნება შეუძლებელია.

შაქარი — კანის დაბერების წინააღმდეგ

ყოველ ჯერზე, როცა საუბარია კანის მოვლაზე, ახალ-ახალი ინგრედიენტები გამოჩნდება ხოლმე, რომელიც დაბერების წინააღმდეგ რევოლუციურ მიდგომას გვპირდება. თუმცა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს ასეთ ინოვაციებს და წარსული ახალგაზრდობის ამ გზით შენარჩუნების არ სჯერა. სწავლულებმა გამოკვლევები ჩაატარეს და გამოავლინეს, რომ კანის უჯრედები შეიცავს შაქარს, ცილას და ასევე უფრო რთულ სტრუქტურას, რომელსაც გლიკანები უწოდეს — სწორედ ისინი ასრულებს მთავარ როლს სხვადასხვა სერიოზული დაავადებების მკურნალობისას. გერმანელი მეცნიერების თქმით, გლიკანებზეა დამოკიდებული, კანი კარგ მდგომარეობაშია თუ არა, ამიტომ ფიქრობენ, ამ ნაერთის დონე ხელოვნურად აწიონ, რათა კანმა თავად შეძლოს გაახალგაზრდავება.

ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲙᲚᲐᲕᲡ

ამერიკელმა მკვლევარებმა გარემოს დაცვის ეროვნული ინსტიტუტიდან დაამტკიცეს, რომ ოფისში მუშაობა გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე — ოფისებში ჰაერი გამოიკვლიეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომსახურე პერსონალისთვის საფრთხეს წარმოადგენს. იატაკის რბილი საფარი, ავეჯი, საღებავი და სხვა საოფისე საგნები გამოყოფს პოლიფტორირებულ ნაერთებს, რაც თანამშრომლების სისხლში აღწევს. კერძოდ, ოფისის მუშაკთა სისხლში ფლუოროპოლიმერის მაღალი დონე აღმოჩნდა. ქიმიკატი სისხლში ერთ-ერთ მჟავად გადაიქცევა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, სიმსივნურ უჯრედებს წარმოქმნის და შესაძლოა, ბავშვებში თანდაყოლილი დეფექტიც გამოიწვიოს. სწავლულები აცხადებენ, რომ უფრო დიდი რისკის ქვეშ ახალ ოფისებში მომუშავე ადამიანები არიან, სადაც ავეჯი და ინტერიერი თანამედროვეა.

ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲡ ᲫᲕᲚᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ

გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა ადამიანის ძვლის ტვინის ლულოვანი უჯრედებიდან სპერმატოზოიდების წინამორბედი-უჯრედების მიღება შეძლო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, მეცნიერებმა მნიშვნელოვნი ნაბიჯი გადადგეს ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სპერმის მიღების საქმეში. გამოკვლევა გეტინგენის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში ჩატარდა. გერმანელმა სწავლულებმა მოხალისე მამაკაცების ძვლის ტვინის ნიმუშებიდან აღებული ლულოვანი უჯრედები გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში ეს უჯრედები დიფერენცირდება ძვლის, ხრტილის, კუნთოვან ან ცხიმოვან უჯრედებში. მკვლევრებმა შეძლეს უჯრედების დიფერენციაციის მიმართულების შეცვლა და ისინი სპერმატოგონინად — ჩამოყალიბებული სპერმატოზოიდების წინამორბედებად აქციეს, რომლებიც ქრომოსომათა ორმაგ ნაკრებს შეიცავს. სრულყოფილ სპერმატოზოიდებად გადაქცევისათვის სპერმატოგონინებმა მეიოზის დაყოფა უნდა გაიარონ, რომლის დროსაც მათში ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება. პროცესის ამ სტადიამდე მიყვანა ლაბორატორიულ პირობებში ვერ მოხერხდა. ადამიანის ძვლის ტვინისგან სრულყოფილი სპერმის მისაღებად, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, კიდევ 3-5-წლიანი გამოკვლევებია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხადი, მსგავსი ტექნოლოგიები დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს მედიცინაში, კერძოდ, მამაკაცის უნაყოფობის მკურნალობაში.



1. გავარვარებული ვულკანური მასა
2. ტროპიკული ხილი
3. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი
4. ობობას ერთ-ერთი სინონიმი
5. ესტონეთის დედაქალაქი
6. უმაღლესი სამხედრო წოდება სსრკ-ში
7. ცხრა-სტრიქონიანი სტროფი
8. კლდიაშვილისეული ქამუშაძის სახელი
9. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
10. ქართული ხალხური ზღაპარი
11. გასართობი ატრაქციონის სახეობა
12. მარცვლოვანი კულტურა
13. იასამნისფერი ძვირფასი ქვა
14. დროის დიდი მონაკვეთი
15. ქართული მითოლოგიის პერსონაჟი
16. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
17. საგნის მონახაზი, კონტური
18. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
19. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
20. ფრანჩესკო პეტრარკას სატრფო
21. ბიტუმით გაჟღენთილი სახურავი მასალა
22. ცეცხლის მნათი ნაწილი
23. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
24. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი
25. გერმანელი მწერალი არტურ ...
26. ორი წერტილი კამათელზე
27. ქართული ეპოსის გმირის, ამირანის ერთ-ერთი ძმა
28. თვალსაჩინო „განცხადება“
29. ბანგლადეშის დედაქალაქი
30. ამერიკელი მსახიობი, აერობიკის „დედა“
31. ინერტული აირი
32. დანანების გამომხატველი შორისდებული
33. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
34. მარგალიტას ქმარი „შერეკილებში“
35. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
36. დაკოდილი ცხენი
37. საგანგებოდ დამუშავებული ხის სოკო
38. სოფლური სახლი შვეიცარიის ალპებში
39. დაბა დუშეთის რაიონში
40. ღვთაებათა დედა ქართულ მითოლოგიაში
41. ცნობილი ბერძენი მულტიმილიონერი
42. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
43. ადამიანთა სამეტყველო ორგანო
44. დაბადების მოწმობა
45. ვოლფრამის შენადნობი კობალტთან
46. ათენის საფეხბურთო კლუბი
47. ბაშკირეთის დედაქალაქი
48. დიდი უნგრელი კომპოზიტორი
49. გიორგი სააკაძის ბშობლიური სოფელი
50. (ძვ.) აღდგომის წინა დღეს მოსალოცად სიარული სიმღერა
51. რეჟისორი ფილმისა „იმერული ესკიზები“
52. ინგლის. ფეხბურთელი ... შირერი
53. მოკლე, უვადო, მოხრილი და დრეკადი ხმალი
54. ავტომობილი ბავშვის ენაზე
55. მწერალ ჩეხოვის სახელი
56. ნიდერლანდის სიდიდით მესამე ქალაქი
57. ფრანგი მწერალი
58. ავთვისებიანი სიმსივნე
59. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
60. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
61. სოლომონის კუნძულების დედაქალაქი
62. მაცხოვრის დედა კათოლიკურ კულტურაში
63. ტბა ირანში
64. ცხენის ნაშიერი
65. ჰომეროსის პოემა
66. ქალაქი სირიაში
67. რუსი საბჭოთა კინორეჟისორი
68. შუაზიური „კეფირი“
69. საჭადრაკო რეიტინგების შემქმნელი
70. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
71. ინდიელთა ტომი
72. ცისარტყელას ქალღმერთი
73. თეატრის კოლექტივი
74. მუსიკ. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
75. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი
76. ყორნისებრთა ოჯახის ფრინველი
77. ჭადრაკის ფიგურა
78. მთის თუთიყუში
79. ნიგერიის ფულის ერთეული
80. საოპერო პარტია
81. ნორმატიული აქტი
82. მუსიკალური გამის VII ნოტი
83. ვაზების მწკრივი ვენახში
84. სამშენებლო მასალა
85. ტირიფის სახეობა
86. რაიმე პროცესის ცალკეული მომენტი, სტადია
87. ამერიკელთა მეტსახელი
88. შხამიანი გომბეშო

მომხიბლავი ადამიანები ნაკლებად ავადმყოფობენ

სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ მიმზიდველ ადამიანებს ნაკლებად აქვთ ენდოკრინულ და გულსისხლძარღვთა სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებულ ყურადღებას სპეციალისტები უთმობენ შაქრიანი დიაბეტისა და არტერიული ჰიპერტენზიის განვითარების რისკს. სავარაუდოა, რომ ლამაზი ადამიანები საკუთარ სხეულს, ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევენ და გამოკვლევაზეც ხშირად დადიან. ექსპერიმენტისას, რომელშიც 15 მოხალისე მონაწილეობდა, სწავლულები ითვალისწინებდნენ ასაკს, სქესსა და სოციალურ ფაქტორებს, რომელიც კონკრეტულ ადამიანზე მოქმედებს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც თავს ნაკლებად მომხიბვლელად მიიჩნევს, ხშირად დეპრესიაში ვარდებიან, რაც სომატური დაავადებების — დიაბეტისა და წნევის მატების რისკს ზრდის. ფსიქოლოგები დარწმუნებულნი არიან: ადამიანის მორალური განწყობა განსაზღვრავს ფიზიკურ მდგომარეობას. დათრგუნული განწყობა სტრესისკენ უბიძგებს და სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მუშაობას შლის; თავდაჯერებული ადამიანები კი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ სხეულს, რაც განსაზღვრავს კიდეც მათი ჯანმრთელობის დონეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.